საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 10 ოქტომბერი, 2015 წელი.

№191 (7836)

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოჭდეული სიფცეა, ფცეულებით და ჯილებით ბუნების გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.

ქართველები საოცრებათა სამყაროში

2

რა გააკვირვებდა ჩვენში პატარა ალისას და რატომ გაქუსლავდა აქედან?

◎ გზად მომავლისკენ!

ბიძინა ივანიშვილი: საქართველოში თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების ცენტრს დავაფუძნებთ!

ძართული მხარე ყველაფერს გააკეთებს, რომ მაქსიმალურად გამოვიყენოთ თქვენი შესაძლებლობები, რათა საქართველოში თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცენტრი დაფუძნდეს, – ამის შესახებ ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა მთავრობის კანცელარიაში, ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით გამართულ შეხვედრაზე განაცხადა.

შეხვედრაზე სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები იმყოფებიან, რომლებიც ტექნოლოგიური ინსტიტუტისა და თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცენტრის დაფუძნებაზე მსჯელობენ.

„ორ წელიწადზე მეტია, რაც მე და გია დვალი ამ პროექტით ვართ დაინტერესებული. მინდა, მადლობა გადავუხადო გიას. ინიციატივა ჩემი იყო, დავუკავშირდი გიას და მისგან მივიღე ძალიან დიდი მხარდაჭერა და სურვილი, რომ საქართველოში შეიქმნას ასეთი სამეცნიერო ცენტრი. მე ცოტა განსხვავებული აზრი და იდეა მქონდა, თუმცა ძირითადაც გია დვალის დახვეწილია ის ფორმა, რასაც დღეს ჩვენ განვიხილავთ. თემურ ლომთაძემ მიიღო დიდი მონაწილეობა, ის აქტიურად არის ჩართული პროექტში, ჩვენი გუნდიც და კიდევ სხვები აქტიურად მონაწილეობენ და გვეხმარებიან. მადლობა ჩამობრძანებისთვის. იმედი მაქვს, რომ მათი მხარდაჭერით ჩვენ შევძლებთ ამ პროექტის განხორციელებას. ჩვენი მხრივ, ქართული მხარე ყველაფერს გავაკეთებთ, რომ მაქსიმალურად გამოვიყენოთ თქვენი შესაძლებლობები, რათა საქართველოში მსგავსი ცენტრი დაფუძნდეს“, – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

ტექნოლოგიური ინსტიტუტისა და თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების ცენტრის მშენებლობას „ქართუ“ დააფინანსებს

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, ტექნოლოგიური ინსტიტუტისა და თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცენტრის მშენებლობის ფინანსური მხარდაჭერისთვის წინამორბედსა და საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ დამფუძნებელ ბიძინა ივანიშვილს მადლობას უხდის.

როგორც პრემიერმა შესაბამის პროექტთან დაკავშირებით მთავრობის ადმინისტრაციაში მიმდინარე შეხვედრაზე განაცხადა, ტექნოლოგიური ინსტიტუტისა და თანამედროვე ტექნოლოგიებიის განვითარების სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცენტრის პროექტი ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

„დღეს არის ადრონული თერაპიის პროექტის კომისიის მორიგი სხდომა. პირველ რიგში, მინდა, გამოვყო ბიძინა ივანიშვილის როლი ამ საქმეში, როგორც ინიციატორის, ასევე, გია დვალის მნიშვნელოვანი როლი. მინდა აღვნიშნო, რომ ამ საქმის წამოწყება საქართველოში იყო ბატონი ბიძინას ინიციატივა. პროექტს მთლიანად დააფინანსებს ბიძინა ივანიშვილი და მისი ფონდი „ქართუ“. ასე რომ, მადლიერებით მინდა აღვნიშნო მისი წვლილი. ამ ორი პროექტის ჯამური ღირებულება შეადგენს ნახევარ მილიარდ დოლარს და მჯერა, რომ ეს იქნება ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი ჩვენი ქვეყნისთვის“, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ადრონული თერაპიის პროექტის კომისიის სხდომა მთავრობის ადმინისტრაციაში გაიმართა. სხდომას ბიძინა ივანიშვილიც დაესწრო.

„კათარზისის“ ბენეფიციართა ნაწილს სოციალურად დაუცველის სტატუსი წაართვეს

4

სპეციალურად ხომ არ უშვრებიან მთავრობას, რათა უარყოფითად განუწყონ ხალხი?!

კვირაძის საკითხავი

ფოტორელიკვიები კომენტარებით

6

უსამშობლოთა სამშობლო

7

ებრაელები საქართველოში

„კაცსა ფიცნი გამოსცდიან“

3

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

◎ პატივგება

მილიონზე მეტი ბავშვის მკურნალი

პედიატრ ავთანდილ კვეზერელი-კოპაძის დაჯილდოება

გამოჩენილი ექიმი-პედიატრი ავთანდილ კვეზერელი-კოპაძე ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით დააჯილდოვა.

ღვაწლმოსილმა პედიატრმა თავისი 65-წლიანი სამეცნიერო-პრაქტიკული საქმიანობის მანძილზე მილიონამდე ბავშვს უმკურნალა.

მისი მეშვეობით შეიქმნა და ჩამოყალიბდა ბავშვთა პირველი ჰემატოლოგიური განყოფილება, ძირითადად წითელი სისხლის კვლევის მიმართულებით (სხვადასხვა გენეზის ანემიები, თრომბოციტოპენიები, ვერლჰოფის დაავადება, თანდაყოლილი და შეძენილი სიყვითლეები და.შ.).

70-80-იან წლებში მისმა სამეცნიერო ჯგუფმა შეისწავლა და დაადგინა ბავშვების სისხლის ასაკობრივი ნორმები, მანვე დაუდო საფუძველი სისხლის შენაცვლებით თერაპიას საქართველოში, ხანგრძლივად გაყინული ერითროციტული მასის გამოყენებას და სხვ.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია გულითადად ულოცავს ქართული პედიატრიის პატრიარქს კიდევ ერთ საქვეყნო აღიარებას და ახალ შემოქმედებით წარმატებებს უსურვებს.

◎ თეთრის შავად გამსაღებელნი

ია მეტრეველი: ჩვენეთ მსოფლიოს კასრებში დამალული ფირები და მერე ვნახავთ, ვინ არიან პოლიტპატიმრები!

ნაციონალური მოძრაობის მიერ ყოფილი მაღალჩინოსნების წინააღმდეგ პოლიტიკურ ანგარიშსწორებასთან დაკავშირებით, ხელისუფლების მისამართით გამოთქმულ ბრალდებებს, აბსურდულს უწოდებს ია მეტრეველი. ბუტა რობაქიძის დედის თქმით, დაკავებული ყოფილი მაღალჩინოსნები დამნაშავეები არიან და მათი პოლიტიკურ პატიმრებად გამოცხადება დაუშვებელია.

როგორც მეტრეველმა „რეპორტიორს“ განუცხადა, უცხოელი პოლიტიკოსები თუ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები ნაციონალური მოძრაობის სასარგებლოდ განცხადებებს აკეთებენ იმიტომ, რომ თავის დროზე, ხელისუფლებაში მყოფი ეს პარტია მათ დიდი თანხებით აფინანსებდა.

„სწორედ მაგათი უსამართლობის, მაგათი ფაშიზმის წინააღმდეგ ვიბრძოდით 9 წლის განმავლობაში. ეს არის სრული აბსურდი. მიუღებელია არასამთავრობო ორგანიზაციების დამოკიდებულებაც, რაც აქვთ ამ მაღალჩინოსნების საქმეებთან დაკავშირებით. მთელმა საქართველომ იცის, როგორ დანაშაულებს სჩადიოდნენ ისინი. თუნდაც კასრებში აღმოჩენილი ფირები გაასაჯაროონ და მთელ მსოფლიოს აჩვენონ, ვინ იყვნენ ისინი რეალურად და მერე ვნახავთ, როგორი პოლიტიკური პატიმრებიც არიან. ამ ვიდეოჩანაწერების გასაჯაროების შემდეგ, ყველა იხილავს მათ ბარბაროსობას... საწყენია, რომ მათ ჰყავთ ლობისტები ევროპასა და ამერიკაში, რომლებიც მათ სასარგებლოდ აკეთებენ განცხადებებს, ერევიან ჩვენი ხელისუფლების საქმეებში და არ აძლევენ საშუალებას, დაისაჯონ დამნაშავეები ისე, როგორც დაიმსახურეს და რასაც სამართალი ითხოვს. კარგად ვიცით, რამხელა თანხებს ახარჯავდნენ ლობისტებსა და არასამთავრობოებს საკაშვილის დროს. ამიტომაა, რომ მათ ვიღაც პარტიები იცავენ, ხოლო კონკრეტული არასამთავრობოები მათ სასარგებლოდ ანგარიშებს დებენ“, – განაცხადა მეტრეველმა.

მისი თქმით, ნაციონალური მოძრაობიდან კიდევ ბევრი მაღალჩინოსანი უნდა იჯდეს ციხეში.

„ქართველი ხალხი არ დაუშვებს, რომ მერაბიშვილი და მისი მსგავსი კრიმინალები გარეთ გამოვიდნენ და აღიარებულ იქნენ პოლიტპატიმრებად. მარტო მერაბიშვილი და უგულავა კი არა, კიდევ სხვებიც რომ არ სხედან ციხეში, არ დავიწყებ ჩამოთვლას, დიდი პრობლემაა“, – განუცხადა „რეპორტიორს“ მეტრეველმა.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ თერთმეტი ყოფილი მაღალჩინოსნის საქმე შეისწავლა, ანგარიშში მიხეილ სააკაშვილზე, ვანო მერაბიშვილზე, ბაჩო ახალაისა და გიგი უგულავას საქმეებზეა საუბარი. დოკუმენტში ყურადღება გამახვილებულია პროკურატურის მხრიდან კონკრეტულ დარღვევებზე. საპარლამენტო უმცირესობა „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ შეფასებებს ეთანხმება. გოკა გაბაშვილის თქმით, ეს არის პოლიტიკური პროცესები და საქმე გვაქვს პოლიტიკურ ანგარიშწორებასა და დევნასთან.

„ეს არის პოლიტიკური პროცესები, ისინი არიან პოლიტიკური პატიმრები. ამის შესახებ დღეს საუბრობს არასამთავრობო სექტორიც, სამოქალაქო საზოგადოებაც, საერთაშორისო დამკვირვებლებიც, ამ საკითხით დაინტერესებელმა ყველა ადამიანმა იცის, რომ ეს არის ჩვეულებრივი პოლიტიკური ანგარიშსწორება და დევნა“, – აცხადებენ საპარლამენტო უმცირესობაში.

ალა გრიგალაშვილი

პრეზიდენტმა 152 მსჯავრდებული შეიწყალა

საქართველოს პრეზიდენტმა 152 მსჯავრდებული შეიწყალა. როგორც შეწყალების კომისიის თავმჯდომარე ზვიად ქორიძემ პრეზიდენტის ადმინისტარაციაში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ქვეყნის პირველმა პირმა შეწყალების მორიგ აქტს ხელი მოაწერა.

ქორიძის განმარტებით, შეწყალებულთაგან 103 მსჯავრდებული სასჯელაღსრულების დაწესებულებას დღესვე დატოვებს, 49-ს კი სასჯელი შეუმსუბუქდა.

ამასთან, შეწყალებული პატიმრებიდან 14 ქალი, 8 კი არასრულწლოვანი მსჯავრდებულია.

„ეს გადაწყვეტილება პრეზიდენტმა შეწყალების კომისიის მიერ მიწოდებული რეკომენდაციების საფუძველზე მიიღო. შეწყალების კომისიის სხდომა 28-29 სექტემბერს გაიმართა და ჩვენ სულ 910 მსჯავრდებულის განაცხადი განვიხილეთ“, – განაცხადა ზვიად ქორიძემ.

მისივე ინფორმაციით, შეწყალებული მსჯავრდებულების მიერ ჩადენილი დანაშაული ძირითადად ნარკოტიკების მოხმარებასა და შეძენა-შენახვას უკავშირდება.

◎ შაბათიდან შაბათამდე

ქართველები საოცრებათა

როდესაც გასულ კვირას მომხდარ მოვლენებს გადავხედე, დავრწმუნდი, ლუის კეროლის ზღაპრის გმირი ალისა საქართველოში რომ აღმოჩენილიყო, ნამდვილად გაოცდებოდა. გაოცდებოდა და თავქუდმოგლეჯილიც მოქუსლავდა ამ მართლაცდა საოცრებათა ქვეყნიდან.

მოდით და, ჩამოვთვალოთ, რა გააოცებდა პატარა ალისას საქართველოში.

პირველი საოცრება, რა თქმა უნდა, სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2“-ის ეთერში გამოჩნდა. არა, არც მაიკო ასათიანის და არც ნანუკა ჟორჟოლიანის „შოუებზე“ ვამბობ და არც ჯულიეტოვნას „მაღალრეიტინგულ“ „არჩევანზე“. ამ „საოცრებებს“ უკვე დიდი ხანია, მივეჩვიეთ და აღარაფერი გვიკვირს.

როგორც იცით, უჭირს „რუსთავი-2“-ს. უჭირს როგორც კარგი, ჯანსაღი გადაცემების მხრივ, ისე ფინანსურად (ახლა არ მითხრათ, „მაშ მტყუანსო“!). ისე უჭირს, რომ საბანკო ანგარიშის ნომერიც გამოაცხადა მადლიერი მაყურებლისგან შემოწირულობების მიღების იმედით.

ჰოოოდა ყველაზე დიდი შემოწირულობა იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა გააკეთა. არა, თანხა პირდაპირ კი არ ჩაურიცხა, რადგანაც ამ „საქველმოქმედო ჟესტს“ სავარაუდოდ „დიდი კუდები“ გამოებმებოდა. ადგა, სარეკლამო რგოლი გადააღებინა იუსტიციის სამინისტროს „წარმატებული“ მუშაობის შესახებ და პირდაპირ „რუსთავი-2“-ში გაარბენინა.

ახლა არ მითხრათ, მინისტრი რა შუაშიაო.

აბა ვინ არის შუაში? ის ორი ჯინსიანი გოგონა, რომლებიც სტრასბურგში ქალბატონ მინისტრს ახლდნენ და ისე გამალებულნი „ჩათაობდნენ“, რომ ტელეკამერებიც ვერ შეამჩნიეს (დრესკოდის სრულ იგნორზე აღარაფერს ვამბობ)?

შუაში კი არა, თავშია,სათავეში! და, როგორც იცით, თევზი თავიდან ფუჭდება!

კი, ბატონო, გასაგებია, რომ ქალბატონ წულუკიანს ძალიან მოსწონს ჯულიეტოვნა და მისი გადაცემა „არჩევანი“, მაგრამ ასეთ შემთხვევაში მას თავისუფლად შეუძლია თავისი მსუყე ხელფასიდან მისცეს თანხა. თავისი მსუყე ხელფასიდან, მაგრამ არავითარ შემთხვევაში სახელმწიფო ბიუჯეტიდან! ძალიან გთხოვთ, არ მითხრათ, ტენდერი გამოაცხადა და „რუსთავი-2“-მა გაიმარჯვაო.

არის ფრიად სენსიტიური თემა, რომელიც აუცილებლად, ვიმეორებ - აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ხელისუფლების ნებისმიერმა მაღალჩინოსანმა: **სახელმწიფოს ბიუჯეტი არის ხალხის ფული. ამიტომ მისი გამოყენება ქვეყნის მტრის იდეოლოგიური მანქანის გასაძლიერებლად არ შეიძლება!**

არის სამი შეკითხვა, რომლებზე პასუხის მოსმენა ფრიად საინტერესო იქნება.

რა გააკვირვებდა ჩვენში პატარა ალისას და რატომ გაქუსლავდა აქედან?

1. თუ „რუსთავი-2“ ახდენს სიცრუის ტირაჟირებას, რამდენად უნდა დავიჯეროთ იმ კლიპის პათოსის, რომელიც იუსტიციის სამინისტროს წარმატებულ საქმიანობაზე გვიამბობს?

2. რამდენად მოსწონს ხალხს იმ მულტიპიკაციური ფილმის დაფინანსება, რომელშიც თვით ბიძინა ივანიშვილს ამასხარავებენ და მიწასთან ასწორებენ?

3. რატომ აღარ ჩანს მულტიპიკაციურ ფილმ „ქერის უბანში“ თეა წულუკიანის გმირი?

კიდევ შეიძლებოდა რამდენიმე „თბილი სიტყვის“ დაწერა, მაგრამ სხვა დროს იყოს. მანამდე კი თეა წულუკიანს შევახსენებ ერთ ფრაზას მხატვრული ფილმიდან „დავით გურამიშვილი“: **ატამანს ნუ აუხირდები ეგორ!!!**

მეორე „საოცრება“ ქალბატონი ეკა ბესელიას განცხადება იყო, რომელიც მან გადაცემა 20/30-ში გააკეთა.

ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის განცხადებით, მოქმედი ხელისუფლების ერთ-ერთი მონაპოვარი სასამართლოს დამოუკიდებლობის აღდგენაა. შესაძლოა, ამ მხრივ ცალკეულ პიროვნებებს სხვადასხვა მოსაზრება გააჩნდეთ, თუმცა ბესელიას განცხადებით, სასამართლო და მოსამართლე პოლიტიკური ზეწოლისგან დაცულია.

„მოსამართლის გადაწყვეტილების განსჯაში შესვლის უფლება პოლიტიკოსებს არ გვაქვს. მნიშვნელობა არა აქვს, რომელ მხარეს წარმოადგენდა დეპუტატი, მთავარია, რომ მოსამართლემ დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება, რადგან სასამართლო თავისუფალია. შესაძლოა,

◎ ებრაელები საქართველოში

„კაცსა ფიცნი გამოსცდიან“

საქართველოში სამართლის აღმოცენება და განვითარება რელიგიური და ზნეობრივი ზემოქმედების გავლენით ხდებოდა. მისი ძირითადი წყარო რელიგიური დებულებები იყო. საქართველოში ჩვეულებრივ სამართალთან ერთად, ვითარდებოდა კანონმდებლობა და პრეცედენტული სამართალი.

ქართულ სამართალს ახასიათებდა ერთი თვისება, რაც იმით იყო გამოწვეული, რომ კლასობრივი საზოგადოება და სახელმწიფო თითქმის 1500 წლის განმავლობაში საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ერთმანეთისგან განცალკევებულად არსებობდა და არც ერთდროულად წარმოშობილა.

ტრადიციებისაგან განსხვავებით, სამართლებრივი ნორმები თავიდან ზეპირი ფორმით, შემდეგ კი წერილობით წყაროებში აღინუსხება და სახელმწიფოებრივად სანქცირებულ, მკაცრად ჩამოყალიბებულ უფლებამოსილებებს, ვალდებულებებს, შეზღუდვებსა და აკრძალვებს შეიცავს. სამართლის ძეგლად აღიარებულია „მოსეს სამართალი“, რომელიც წარმოადგენს გამონაკრებს „მეორე სჯულიდან“. ეს კანონები ჩვენი ეროვნული სამართლის ერთ-ერთი, უძველესი წყაროა, ისინი ძველთაგანვე მოქმედებდნენ საქართველოში.

XI საუკუნის ავტორის ლეონტი მროველის ცნობით, როდესაც ბაბილონის მბრძანებელმა ნაბუქოდონოსორ მეფემან აიღო იერუსალიმი, „მუნით ოტოებულნი ურიანი მოვიდეს ქართლს და მოითხოვეს მცხეთელთა მამასახლისისაგან ქუეყანა ხარკით“.

ელინისტურ ხანაში აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებში მცხეთაში, ურბნისში და, ალბათ, სხვაგანაც, არსებობდა „უბანი ჰურიათა“. ამ უბნებში ცხოვრობდნენ ებრაელთა ეთნიკურ-რელიგიური თემები, რომელთაც ჰქონდათ თავიანთი საკულტო ცენტრები — „ბაგინი ჰურიათა“, სწორედ ასეთი „ბაგინის“ მსახური (და, ცხადია, იუდაიზმის მიმდევარი) ყოფილა აბიათარ მღვდელი ქრისტიანად მოქცევამდე, რომელიც წმინდა ნინოს ცხოვრებაში იხსენიება. ებრაული თემების ცხოვრების კვალი ქართლში აღმოჩენილ ეპიგრაფიკულ ძეგლებშიც არის ასახული.

ქართველი ისტორიკოსი ლეონტი მროველი იხსენიებს ებრაულს, როგორც ისეთ ენას, რომელიც ძველ, ანტიკური ხანის ქართლში იხმარებოდა. მაშასადამე ტერმინი „ებრაული“ ქართულში საკმაოდ ძველია. ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ წყაროებში ებრაელთა აღმნიშვნელად გვხვდება „ისრაელი“, „ურია“ და „იუდეველიც“.

ებრაელების სამართლებრივი სტატუსის შესახებ ჩვენამდე მრავალი დოკუმენტია მოღწეული.

არის მინიშნება, რომ ფეოდალურ საქართველოში ებრაელებს ცალკე სოფლებად ან უბნებად უცხოვრიათ. ასეთ სოფლებში მამასახლისებად და სხვა მოხელეებად ისევ ებრაელები იყვნენ.

1920 წელს კარლ კაუცკიმ აღნიშნა: „არიან პატარა ქვეყნები, რომლებიც მათი გეოგრაფიული მდებარეობის გამო განსაკუთრებული დანიშნულებისთვის არიან მოწოდებულნი. ამ ქვეყანათა რიცხვს ეკუთვნოდა პალესტინა, რომელიც ორ უძველეს კულტურულ ცენტრს — ეგვიპტესა და მესოპოტამიას აერთებდა. ამავე ქვეყნებს ეკუთვნის საქართველო“. გვიანფეოდალურ ხანაში XVI-XVIII საუკუნეებში ებრაელების ძირითად მასას საქართველოში უკვე აღარ ახსოვდა საკუთარი ენა და ქართულად მეტყველებდა.

გვიანი შუა საუკუნეებიდან ჩვენამდე მოღწეულია საბუთები სასამართლო პროცესებისა, სადაც მხარეებად ებრაელებიც გამოდიოდნენ. ქართული სამართალწარმოების ტრადიციული წესების თანახმად, ფიცი იყო ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანი მტკიცებულება. თუ მოდავეთაგან ერთ-ერთი მხარე ქართველი იყო და ქართველს ფიცი დაეკისრებოდა, ის ქრისტიანულ ტაძარში, ქრისტიანული ეკლესიის მსახურთა წინაშე დაიფიცებდა.

ქართული სასამართლოს მხრივ არაქრისტიანი ებრაელი ყმების ფიცის მტკიცებულებად მიღება და ქრისტიანი ქართველი ფეოდალის პრეტენზიების მიმართ უნდობლობის გამოცხადება მსაჯულთა შეკრებულობის მიერ მიგვითითებს, რომ ებრაელ ყმებს ქართველ ყმებზე არა ნაკლები უფლებები ჰქონდათ მოპოვებული. თითქოს მოსალოდნელი იყო, რომ ებრაელი ყმების, როგორც არაქრისტიანების, ფიცს ქართულ სასამართლოში არ უნდა ჰქონოდა უცილებელი მტკიცებულების მნიშვნელობა. მაგრამ ვხედავთ, რომ სასამართლოს სრული ნდობის ღირსად მიაჩნია სათანადო რიტუალითა და წესით შესრულებული ებრაელი ყმების ფიცი, როგორც მოპასუხე მხარის ფიცი და მაძიებელ მხარეს — ფეოდალ ხიდირბეგიშვილს და მის ფიცს არ ენდობა.

საქართველოში კი მხოლოდ იმათ აფიცებდნენ და იმათ ფიცს მიიჩნევდნენ სარწმუნოდ, ვისიც სჯეროდათ, რომ პატიოსანი და ნამუსიანი ადამიანები იყვნენ.

შუა საუკუნეებში ზოგ მოწინავე ქვეყანაშიც კი, სადაც ებრაელობას უხდებოდა ცხოვრება, ისინი განიცდიდნენ დისკრიმინაციას და მათ ფიცსაც მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ სასამართლოში, საქართველოში კი ებრაელს მოფიცრის როლშიც შეეძლო გამოსვლა და თანამოფიცრის როლშიც. ებრაელებს ასეთი პროცესუალური ქმედობაუნარიანობისთვის თანდათან, დროთა ვითარებაში მიუღწევიათ. ლეჩხუმელი ებრაელების, ფალავანდიანთ ებრაელების ფიცს, სათანადო საბუთების მონაცემებით, ენდობოდნენ. ფალავანდიანთ ებრაელებს და ლეჩხუმელ ებრაელებს თანამოფიცართა გვერდით ფიცის უფლებაც მოუპოვებიათ.

თანამოფიცარით თავის მართლების უფლება ქალაქელებს, ე. ი. თბილისელებს საერთოდ და მათ შორის ქართველ ქალაქელებსაც არ ჰქონდათ. მაგრამ თბილისის გარეთ მცხოვრებ ყმა ქართველებს და ებრაელებს თანაბრად ჰქონდათ თანამოფიცართა გვერდით ფიცის უფლება.

ეს უფლება კი ყმა ადამიანების „კაცობის მაჩვენებელი იყო. კაცი იყო ის ადამიანი, „ვის ფიცსაც სახელმწიფო და საზოგადოება ენდობოდა. გავიხსენოთ დიდი შოთა რუსთაველის სიტყვები: „კაცსა ფიცნი გამოსცდიან“.

ა. კრიხელი აღნიშნავდა, რომ თუ ქრისტიანის დასაფიცებლად არსებობდა მონასტერი და ეკლესია, ეს იუდაელისთვის დაუშვებელი იყო. ერთი მხრივ, ებრაელი ყმის დაფიცება ქრისტიანულ ეკლესიასა და მონასტერში ქრისტიანიზმის შეურაცხყოფა იქნებოდა, ხოლო მეორე მხრივ ებრაელისათვისაც დაუშვებელი იყო იუდაიზმის მოწინააღმდეგე ქრისტიანულ სარწმუნოებაზე დაფიცება.

როგორც ჩანს, ებრაელები იფიცებდნენ სინაგოგაში ბიბლიაზე, რომელიც ძველ ებრაულ ენაზე იყო დაწერილი.

ჯანო წულუკიძე,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, სამართლის დოქტორი, პროფესორი.

◎ შაბათიდან შაბათამდე

სამყაროში

მოსამართლემ შეცდომაც დაუშვას, ამისგან დაზღვეული არავინაა, მაგრამ ჩვენ არ უნდა ჩავერიოთ. მოქალაქემ კი, უნდა გამოიყენოს ყველა სამართლებლივი ბერკეტი, ამისთვის სამი ინსტანცია არსებობს“, — აცხადებს ეკა ბესელია.

უკაცრავად, მაგრამ ვერ გავიგე, რას ნიშნავს ფრაზა: **შესაძლოა, მოსამართლემ შეცდომაც დაუშვას, ამისგან დაზღვეული არავინაა, მაგრამ ჩვენ არ უნდა ჩავერიოთ.**

რას ნიშნავს, არ ჩავერიოთ?! არ ჩავერიოთ კი არა, შეცდომის დამშვები მოსამართლე უსასტიკესად უნდა დაისაჯოს. ხაზს ვუსვამ, უსასტიკესად, რადგანაც მისი ე.წ. „შეცდომა“ ადამიანის დანგრეული ცხოვრებაა. კი, ბატონო, **მოქალაქემ უნდა გამოიყენოს ყველა სამართლებლივი ბერკეტი და ამისთვის სამი ინსტანცია არსებობს,** მაგრამ რა ვუყოთ დაკარგულ წლებს და დაკარგულ ჯანმრთელობას?

საოცარია, მაგრამ ეს განცხადება ძალიან ჰგავს გუგული მაღრაძის და ზურაბ ტყემალაძის იმ როყიო და თავხედურ განცხადებებს, რომლებიც ყველამ იცით.

საინტერესოა, რა ხდება? ნუთუ ერთი კაცი გიწერთ განცხადებების ტექსტებს, ასე რომ გვანან ერთმანეთს?

მესამე საოცრება კი სასამართლომ „მოახდინა“.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ და „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველომ“ სასამართლოს შენობაში ხელი მოაწერეს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს. მემორანდუმის ფარგლებში არასამათავრობო ორგანიზაცია და უზენაესი სასამართლო განახორციელებენ ერთობლივ სასწავლო, კვლევით და ანალიტიკურ პროექტებს, რაც მიზნად ისახავს მართლმსაჯულების საქმიანობის ეფექტიანობისა და ხარისხის განვითარებას.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო“ ასევე წარმოადგენს ახალ პროგრამას — „უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებში მნიშვნელოვანი განმარტებების საძიებო სისტემა“. აღნიშნული სისტემა ხელმისაწვდომი იქნება როგორც მოსამართლეების, ასევე მართლმსაჯულების მონაწილე პირების, აკადემიური წრეებისა და დაინტერესებული საზოგადოებისათვის.

მემორანდუმის ხელმოწერას, მოსამართლეებთან ერთად, დაესწრნენ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ცნობისთვის შეგახსენებთ, რომ ეს ის „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოა“, რომელსაც ვანო მერაბიშვილის ერთგული კაპიტანი ეკა გიგაური ხელმძღვანელობს და ის „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოა“, რომლის შეფასებით, ყოფილი მაღალჩინოსნების საქმეებთან მიმართებაში აღმკვეთი ღონისძიების გამოყენების წესის „ბოროტად სარგებლობა“ ხდებოდა. ამის შესახებ ნათქვამია ორგანიზაციის მიერ შემუშავებულ, გახმაურებული სისხლის სამართლის საქმეების მონიტორინგის მესამე ანგარიშში.

გარდა აღნიშნულისა, „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ განმარტებით, დაკვირვების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი ტენდენციები და ფაქტები (სტილი დაცულია):

„გიგი უგულავას მიმართ განხორციელებული ქმედებათა ქრონოლოგია და აღკვეთი ღონისძიების გამოყენების თაობაზე საკანონმდებლო ხარვეზის ბოროტად გამოყენება პროცესის პოლიტიკური მოტივებით წარმართვაზე მიანიშნებდა. რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ პროკურატურის მთავარ მიზანს იმ მომენტისთვის ბრალდებულის პატიმრობაში დატოვება წარმოადგენდა.

როგორც ბრალდების, ასევე დაცვის მხარის მიერ რიგ საქმეებში ხდებოდა პროცესის ხელოვნური გაჭიანურება. პროცესის გაჭიანურების მცდელობა განსაკუთრებით დაუშვებელია პროკურატურის წარმომადგენელთა მხრიდან, ამით ბრალდებულის სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელების უფლების ცალსახა ხელყოფა ხდება.

ყალბი მიზეზებით სხდომების ხელოვნურად გადადება პირდაპირ პროკურატურის, როგორც ინსტიტუტის, იმიჯს ლახავს და მისი საქმიანობის პოლიტიკურ მოტივებზე მიუთითებს“, — ნათქვამია ორგანიზაციის ანგარიშში.

მისი შეფასებით, გახმაურებული საქმეები დაძაბული პოლიტიკური პროცესის ფონზე მიმდინარეობდა, რიგი თანამდებობის პირების კომენტარები კი „პირდაპირ და უხეშად არღვევდნენ უდანაშაულობის პრეზუმფციას“.

„თანამდებობის პირების კომენტარებმა, რომლებიც მიმდინარე გახმაურებულ პროცესებსა და მათში მონაწილე ბრალდებულებს შეეხება, შესაძლოა, სასამართლოზე ნეგატიური გავლენა მოახდინონ“.

მესამე ანგარიში მოიცავს 2014 წლის მაისიდან 2015 წლის ივნისამდე პერიოდს. დაკვირვება 11 სისხლის სამართლის საქმეზე მიმდინარეობდა, სადაც ბრალდებულები იყვნენ წინა ხელისუფლების ყოფილი თანამდებობის პირები: მიხეილ სააკაშვილი, გიგი უგულავა, ვანო მერაბიშვილი, ბაჩანა ახალაია და სხვები.

აქაც დაახლოებით იგივე სიტუაცია მეორდება, რაც „რუსთავი-2“-ისა და თეა წულუკიანის „მეგობრობაში“, რადგანაც ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოა“ მემორანდუმში ჩამოთვლილი პროექტების განსახორციელებლად საკმაოდ მსუყე გრანტს მიიღებს. გრანტს, რომელსაც ქალბატონი გვენეტაძე არა თავისი და მოსამართლეების მიერ მიღებული ხელფასებიდან, არამედ ჩვენი, ხალხის მიერ სახელმწიფოს ბიუჯეტში გადახდილი თანხებიდან გასცემს.

მართლაც, საოცრებათა ქვეყანაში ვცხოვრობთ! თანაც, დამერწმუნეთ, ისეთი საოცრებებისა, პატარა ალისას ნამდვილად რომ არც დაესიზმრებოდა.

გია გაბრიჭიძე

„კათარზისის“ ბენეფიციართა ნაწილს სოციალურად დაუცველის სტატუსი წაართვეს

ხანდაზმულებისა და მოხუცებისთვის სათნოების სახლი „კათარზისი“ ოაზისია. ეს კეთილმოწყობილი, ესთეტიკურად გაფორმებული, საოცარი ექსტერიერი და თბილი, ადამიანური გარემო, სადაც ადამიანები თავშესაფარს პოულობენ, მხოლოდ კერძო სექტორის დამსახურებაა... მაგრამ ის, რაც სახელმწიფოს ვალდებულებაა, დიდწილად შეუსრულებელია.

სპეციალურად ხომ არ უშვრებიან მთავრობას, რათა უარყოფითად განუწყონ ხალხი?!

„კათარზისს“ თითქმის 400-მდე ბენეფიციარი ჰყავს. აქედან 15 მოხუცი ღამეს მუდმივად ამ თავშესაფარში ათევს, დანარჩენები კი მიდიან და მოდიან. ბუნებრივია, ამ ადამიანების გადაადგილების საშუალება ძირითადად საქალაქო ტრანსპორტია. „კათარზისის“ წინ ავტობუსის გაჩერება არის, მაგრამ... აქ არც მოსაცდელია დამონტაჟებული და არც ტაბლოა, რაც ძალიან მოუხერხებელსა და არაკომფორტულს ხდის ბებიებისა და ბაბუების მგზავრობას.

ზაფხულში ძნელია მცხუნვარე მზის ქვეშ დგომა, სიცივესა და წვიმაში კი — მით უმეტეს... არც იციან, რამდენ ხანს უნდა ელოდონ ტრანსპორტს, არც ჩამოსაჯდომია, არც ხე, რომ თავი შეაფარონ... პრობლემა ძველია, წლების განმავლობაში მერიის სატრანსპორტო სამსახურს დახმარებას უშედეგოდ თხოვენ. „კათარზისის“ უხუცესთა საბჭოს წევრი **არჩილ ბითაძე,** ძალიან აქტიური და მზრუნველი ადამიანი, დიდი გულისწუხილით ყვება მერიის სამსახურის უგულისყურობის შესახებ: **„რამდენჯერ მივმართე თბილისის მთავრობას წერილობით. ხშირად ვურეკავ. მოვიდნენ ერთხელ, ხომ იცით, ასეაო, ისეაო, იქნიეს თავი და წავიდნენ. თქვენ წარმოიდგინეთ, რომ მეტრო „მარჯანიშვილიდან“ თამარ მეფის გამზირამდე ავტობუსის 4-5 გაჩერებაა. არსად არ არის მოსაცდელები, არ დგას ტაბლოები. გვპირდებიან, რომ გააკეთებენ, უკვე წლებია, ველოდებით პრობლემის მოგვარებას. რა დიდი შრომა ამას უნდა, ნუთუ მოხუცების თხოვნა არ უნდა შეისმინონ და ასე უნდა გაგვაწვალონ?!“,** — დასძენს ის.

მართლაც და, რა გახდა?! „კათარზისში“ იდეალური პირობებია: საჭიროების მიხედვით სითბოა და სიგრილე, ძალიან კარგი კვებაა, მარტოობის პრობლემა ხომ საერთოდ მოგვარებულია. მოხუცებისთვის არის გასართობი ოთახი, ტელევიზორი, ბიბლიოთეკა, საკონცერტო დარბაზი, სამლოცველო... ცოცხალი ყვავილები, ჩიტები გალიაში, ბაღი.. აქვეა ჰიგიენისთვის განკუთვნილი ყველა საშუალება: საპარიკმახერო, აბანო... არის სამკერვალოც... 25 წელია, ჩვენი მოხუცები ამ სიკეთეებით სარგებლობენ, მაგრამ ახლა მათთვის იურიდიული სამსახურის შექმნაც აუცილებელი გახდა. პრობლემები დაგროვდა: სოციალური მდგომარეობის მოუწესრიგებლობა, სტატუსთან დაკავშირებული სირთულეები და ა. შ.

როგორც სახლის დედა **მანანა ქოიავა** გვიხსნის, მოხუცების დახმარებას ვერ აუდიოდა, ლამის იურისტის ფუნქციები იტვირთა: **„ჩვენი მოხუცების ძალიან დიდი ნაწილი ამოაგდეს სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფთა სიიდან და მათთვის მტკივნეული საკითხი გახდა. მთხოვდნენ კონსულტაციებს, განცხადებების დაწერას, სოციალურ სააგენტოსთან ურთიერთობას და ა. შ. ამიტომ ვთხოვე ჩვენი ორგანიზაციის პრეზიდენტს, ბატონ ზაურ ალადაშვილს იურისტი კონსულტანტების აყვანა.... მართლაც მოვიწვიეთ ისინი, ჯერჯერობით, საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობენ, ბიბილოთეკის ნაწილი გამოვუყავით ოფისად“.**

მოხუცები მიიჩნევენ, რომ მათ სრულიად უმიზეზოდ და უსამართლოდ გაუზარდეს სარეიტინგო ქულები. ერთ-ერთი ქალბატონისთვის დღემდე გაუგებარია, რატომ ვერ მოხვდა ბაზაში. მას სოციალური დახმარება მოუხსნეს: არადა, 4 წელიწადი ამ სტატუსით სარგებლობდა. ბებოს იმის გარდა, რომ ამ ხნის მანძილზე ასაკი მოემატა და ჯანმრთელობა შეერყა, არაფერი შემატებია. გაუსაძლისი საყოფაცხოვრებო პირობები და მარტოხელობა... ესაა და ეს. ქალბატონმა მანანა ქოიავამ ოფიციალურად გამოითხოვა პასუხი სოციალური სააგენტოდან, რა მიზეზით მოეხსნა მოხუცს დახმარება. საპასუხო წერილში ნათქვამია: „ოჯახის რეიტინგული ქულა განისაზღვრა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნის სრული დაცვით“. საკითხი დახურულია, რეიტინგმა კი 33 ათასი ქულიდან 81 ათას ქულამდე აიწია. პასუხი თუ არ გაკმაყოფილებთ, სასამართლოში იჩივლეთო...

„ქალბატონი დაძაბუნებულია, ძლივს დადის, სმენაც დაქვეითებული აქვს. ვინაიდან სოციალური სტატუსი მოუხსნეს, სასამართლოში ბაჟიც თავად უნდა გადაიხადოს, ამის ფული სად აქვს?! ანუ ეს მომენტი გამორიცხულია. მართალი გითხრათ, არ მესმის, რატომ აკეთებენ ამას... მგონი, სპეციალურად უკეთებენ მთავრობას, რათა უარყოფითად განაწყონ ხალხი. ძალიან ვნერიულობ და განვიცდი ამ ამბავს, გულზე მესობა ასეთი შეცდომები, რადგან აქტიური მხარდამჭერი ვიყავი „ქართული ოცნების“, ისეთი მონდომებით ვიბრძოდი საპაკაშვილის რეჟიმის დასამთავრებლად“... — გულისტკივილით ამბობს ქალბატონი მანანა.

„კათარზისის“ ერთ-ერთ ბენეფიციარს, რომელმაც ლამის ნახევარი საუკუნე ციხეში გაატარა, სოციალურად დაუცველის სტატუსი არ მიანიჭეს. უოჯახოდ დარჩენილ, საზოგადოებასთან არარეალიზებულ ბერიკაცს ახლობელმა სამადლოდ 5 კვ.მ. ოთახი დაუთმო. ეს მოხუცი დილიდან გვიან ღამემდე „კათარზისშია“... მის „ოჯახში“ მისული სოციალური აგენტისთვის ერთ-ერთ მეზობელს უთქვამს, ოთხი თვეა, თვალით არ მინახავსო... ჰოდა, ეს ფრაზა გახდა საკმარისი, ბერიკაცი დახმარების გარეშე დაეტოვებინათ...

არჩილ ბითაძე რეპრესირებული ოჯახიდან არის. რამდენიმე სასამართლო პროცესის მოგების შემდეგ, სახელმწიფომ ეს აღიარა, მაგრამ დანამატი — 7 ლარის მეტი არ აღირსა... **„რამდენი იყო ჩემს დღეში, ბევრი უკვე გარდაიცვალა კიდეც“,** — დანანებით ამბობს იგი.

„კათარზისის“ ბენეფიციარებს „ოცნების“ მთავრობის ძალისხმევაზე მადლობის თქმაც არ ავიწყდებათ. ეს ჯანდაცვის სფეროა, რომლის მოწესრიგებამ სიცოცხლე ოდნავ მაინც გაუხანგრძლივა ხანდაზმულებს. **„ჩვენს ერთ-ერთ ბენეფიციარს ინფარქტი მოუვიდა... ერთი თეთრი არ დაუხარჯავს. სახელმწიფომ სრულყოფილად დააფინანსა“,** — გვითხრა ქალბატონმა მანანამ.

მაგრამ ჯანმრთელობაზე ზრუნვა ხომ ერთჯერადი ფაქტი არ არის. ხანდაზმულ ასაკში უკვე მუდმივი მკურნალობაა საჭირო... წამალი ძვირი სიამოვნებაა, წამლისთვის გასამეტებელი ფული კი — კიდევ უფრო ძვირი. ამიტომაც აქვს მნიშვნელობა სოციალურ სტატუსსა და იმ ორიოდე გროშს, რომელსაც სახელმწიფო იმეტებს.

„კათარზისი“ რა თქმა უნდა, ყველაფერს თავის თავზე ვერ აიღებს... თანაც, ეს ხომ მხოლოდ ამ ბენეფიციარების პრობლემა არ არის, ეს მთელი საქართველოს მოხუცების თავისტკივილია. ბატონი არჩილი კი სულაც არ აპირებს, შეეგუოს უმოქმედობას. „სიცოცხლე მოძრაობაა, მაგრამ სიბერემ თუ ჩაგითრია, ცუდია“... ამ სიტყვებით მაცილებს და იმ იმედითაც, რომ შეიძლება გაზეთის ფურცლებიდან მაინც შეისმინონ ჩინოვნიკებმა საზოგადოების ყველაზე სათუთი და პატივსაცემი ნაწილის სატკივარი!!!

თეა მოსია

◎ ჯანდაცვა

საქართველოში ბავშვთა პირველი ჰოსპისის მშენებლობას ჩაეყრება საფუძველი

დღეს, ჰოსპისისა და პალიატიური მზრუნველობის მსოფლიო დღეს, დიღომში საქართველოში ბავშვთა პირველი ჰოსპისის მშენებლობას ჩაეყრება საფუძველი.

ამ სოციალური პროექტის ინიციატორი ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველოა“, რომელსაც „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“, საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი და ინდივიდუალური დონორები აფინანსებენ. ბავშვთა ჰოსპისის მშენებლობის დაწყების ღონისძიებას საქართველოს პირველი ლედი მაკა ჩიჩუა, ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველოს“ დირექტორი ქეთი ხუციშვილი და „სამედიცინო კორპორაცია ევექსის“ გენერალური დირექტორი ნიკოლოზ გამყრელიძე გახსნიან. მისალმების შემდეგ, გამომსვლელები ჰოსპისის საძირკველში მემორიალურ კაფსულას მოათავსებენ.

ბავშვთა ჰოსპისის მშენებლობა 2016 წლის ბოლოს დასრულდება. ეს იქნება პირველი სახლი, სადაც ქრონიკული და უკურნებელი სენით დაავადებული ბავშვები და მათი ოჯახები სრულიად უფასოდ პალიატიური მზრუნველობის მომსახურებას მიიღებენ. ბავშვთა ჰოსპისი სამი ძირითადი მიმართულებით იმუშავებს: 24-საათიანი მომსახურება ერთდროულად 10 ბავშვისთვის, დღის ცენტრი, სადაც ბავშვები და მათი მშობლები დღის განმავლობაში მიიღებენ საჭირო მომსახურებას და შინ ზრუნვის სამსახური, რომელიც ბინაზე მოემსახურება ბავშვებს.

ორგანიზატორების განცხადებით, აღსანიშნავია, რომ ბავშვებისათვის შინ ზრუნვის სამსახურის ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველოს“ ინიციატივით და „სამედიცინო კორპორაცია ევექსის“ ხელშეწყობით საქართველოში უკვე ფუნქციონირებს და თბილისის მასშტაბით 15 ბავშვს და მათ მშობლებს სრულიად უანგაროდ ეხმარება. ბავშვთა ჰოსპისის აშენების იდეა 2013 წელს ჩატარებული კვლევის შემდეგ გაჩნდა, რომლის მიზანი ბავშვებისთვის პალიატიური მზრუნველობის საჭიროების შესწავლა იყო. როგორც კვლევამ აჩვენა, საქართველოში პალიატიური მზრუნველობა ყოველწლიურად 0-დან 18 წლამდე 839 ბავშვს ესაჭიროება.

ჰოსპისის უმთავრესი პირობა ოჯახური ტიპის გარემოს შექმნაა, ამიტომ ევროპის ბევრ ქვეყანაში, ჰოსპისი მცირე ზომის, მაქსიმუმ სამსართულიან სახლებშია განთავსებული. მსოფლიოში ბავშვთა ჰოსპისების ბევრი წარმატებული მაგალითი არსებობს. ამ მხრივ, დიდი გამოცდილების მქონე ქვეყნებია ჰოლანდია, გერმანია, ინგლისი, ამერიკა და რუმინეთი. არის ჰოსპისები, რომლებიც რომელიმე ლიტერატურული პერსონაჟის სახლს ან წარმოსახვით სამყაროს მოგაგონებთ. საქართველოში პალიატიური მზრუნველობის დანერგვას და განვითარებას ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველო“ 1999 წლიდან უწყობს ხელს. ფონდის მხარდაჭერით დღემდე თბილისში ფუნქციონირებს ორი ჰოსპისი ზრდასრული პირებისთვის - ერთი ონკოლოგიური ცენტრის ბაზაზე, მეორე კი ფერისცვალების დედათა მონასტერში.

200-ᲛᲔᲓᲘᲙᲐᲛᲔᲜᲢᲖᲔ ᲤᲐᲡᲔᲑᲘ ᲨᲔᲛᲪᲘᲠᲓᲔᲑᲐᲝ

ᲨᲠᲝᲛᲘᲡ, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის განცხადებით სექტემბერში პირველ 200 მედიკამენტზე ფასების კლება უნდა მომხდარიყო.

ჯანდაცვის რეფორმაში ყველაზე მტკივნეული წერტილი ამ ეტაპზე არის ამბულატორიული პაციენტებისათვის მედიკამენტების ფასების მაღალი ზღვარი. მინისტრის თქმით, სამწუხაროდ, მედიკამენტების გაიაფებას ჯანდაცვის სამინისტრო არ განკარგავს, თუმცა სამინისტრო დგამს იმ ნაბიჯებს, რომელიც პირველ 200 მედიკამენტზე ფასების კლებას გამოიწვევს. კერძოდ, საუბარია ყველაზე ხშირად მოხმარებადი და პირველადი საჭიროების მედიკამენტებზე, როგორიც არის მაღალი არტერიული წნევის დასარეგულირებელი საშუალებები, დიაბეტის დასარეგულირებელი და სხვა.

ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲨᲘ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲡ ᲣᲤᲐᲡᲝᲓ ᲣᲛᲐᲯᲣᲠᲜᲐᲚᲔᲑᲔᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ სარეზერვო ფონდის მხარდაჭერით, ქალაქ ათენში სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კავკასია“ დაფინანსდა, სადაც საბერძნეთში მცხოვრებ ქართველ ემიგრანტებს მაღალი კვალიფიკაციის მქონე ქართველი და ბერძენი ექიმები უფასოდ მოემსახურებიან. ერთწლიანი პროექტი, საბერძნეთში შექმნილი ეკონომიკური კრიზისის გამო, პრეზიდენტის ინიციატივით 14 სექტემბერს დაიწყო.

„ეს პროექტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ათენში არსებული ეკონომიკური კრიზის გამო, რომელიც ჩვენს თანამემამულეებზეც აისახა. პრეზიდენტის ფონდი აძლევს საშუალებას ქართველ ემიგრანტებს საბერძნეთისათვის ყველაზე კრიზისულ პერიოდში არ დარჩნენ გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გარეშე,“ — განაცხადა პრეზიდენტის მრჩეველმა უმცირესობების საკითხებში სოფო შამანიდმა, რომელიც პროექტის პრეზენტაციას ათენში ესწრებოდა.

ღონისძიებას ასევე ესწრებოდნენ საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საბერძნეთისა და სერბეთის რესპუბლიკაში იოსებ ნანობაშვილი, საბერძნეთის ჯანმრთელობის სამინისტროს გენერალური სამდივნოს წარმომადგენელი ლუმენიცა კოსტოპულუ, არასამთავრობო ორგანიზაცია „მსოფლიო ექიმების“ გამგეობის თავმჯდომარე ნიკიტას კანაკისი, არასამთავრობო ორგანიზაცია „კეთეა მოსაიკის“ თავმჯდომარე დიმიტრის ჯანეტოსი, საერთაშორისო კლუბ „ლაინს“-ის ვიცე-გუბერნატორები ხარის ზახარიადუ, დიმიტრის ცანგარატოსი, სპიროს ხაძიდაკისი და კოსტას ბეკრისი და ქართველი მოძღვარი, მამა სინესიოსი (თეიმურაზ კალანდაძე).

ინტერპრესი

ქართულ-რუსული ურთიერთობები და სახალხო დიპლომატია

ღია წერილი ბატონ ბიძინა ივანიშვილს

ღრმად პატივცემულო ბატონო ბიძინა,

რუსეთზე საქართველოს ეკონომიკური დამოკიდებულება ეჭვს არ იწვევს არც ერთ ნორმალურ ადამიანში. ამ ელემენტარული ფაქტის უგულებელყოფით „ნაციონალურმა" რეჟიმმა გაპარტახების პირას მიიყვანა ჩვენი ქვეყანა. სააკაშვილის ახირებით, საქართველო გამოიყენეს რუსეთის საწინააღმდეგო ავანტიურაში, რაც საქართველოსთვისვე დასრულდა ცუდად. 2012 წელს, სანამ თქვენი ლიდერობით ყველანი ერთად დავამარცხებდით რეჟიმს, ქვეყანა საფინანსო და ეკონომიკური კატასტროფის წინ იდგა. რომ არა თქვენი გამარჯვება 1 ოქტომბრის არჩევნებში, რუსეთი არ შეარბილებდა ეკონომიკურ სანქციებს, არ გახსნიდა საკუთარ ბაზარს ქართული პროდუქციისათვის, ხოლო საქართველოში არ წამოვიდოდნენ რუსი ტურისტები დიდი რაოდენობით. 2013 წლიდან მოყოლებული დღემდე, „ნაციონალების" მიერ დაღუპვის ზღვარზე მიყვანილი საქართველო ასცდა მოვლენების კატასტროფულ განვითარებას ახალი ხელისუფლების გაწონასწორებული, ფრთხილი მოქმედებით და, ამის საპასუხოდ, რუსული მხარის მიერ გადადგმული ნაბიჯებით, რადგან რუსეთის ხელისუფლებამ სწორად გაიგო თქვენი პოზიცია — საქართველოს ხელისუფლებას რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზება სურს.

რომ არა რუსული ბაზარი, რა ვითარება იქნებოდა დღეს კახეთში, მეღვინეობის თვალსაზრისით, ან დასავლეთ საქართველოში, სადაც ხალხი მეციტრუსეობით და ტურიზმით ირჩენს თავს? რა თქმა უნდა, ვითარება იქნებოდა ძალზე მძიმე, შესაძლოა, კატასტროფულიც. რუსული ბაზრის გახსნამ ამოსუნთქვის საშუალება მისცა სოფლის მეურნეობასა და ტურიზმის სფეროში დასაქმებულ საქართველოს მოსახლეობას. ყოველივე ეს თქვენი და თქვენს მიერ მხარდაჭერილი ირაკლი ღარიბაშვილის მთავრობის გონივრული და დაბალანსებული პოლიტიკის წყალობით იქნა მიღწეული. ამას თქვენ არასოდეს დაგივიწყებთ ქართველი ხალხი.

თუმცა, საქართველოს გარკვეული ვალდებულებების გამო, სულ ახლახან გაჩნდა საფრთხე, რომ რუსეთს კვლავ შემოეღო ეკონომიკური სანქციები საქართველოს წინააღმდეგ, რაც განპირობებული იქნებოდა საქართველოს მხრიდან უკრაინის ტერიტორიული ერთიანობის მხარდაჭერის კურსითა და, კერძოდ, ყირიმში ნაწარმოები პროდუქციის საქართველოში შემოტანის აკრძალვით. მაგრამ რუსეთის ხელისუფლება საქართველოს ხელისუფლების ამ პოზიციას გაგებით მოეკიდა და სანქციები არ შემოიღო. ბუნებრივია, ამ ეტაპზე რუსეთში ქართული პროდუქციის შეტანის აკრძალვა კარგს არაფერს მოუტანდა ჩვენს ქვეყანას. მთავრობის მეთაურის ირაკლი ღარიბაშვილის მიერ გაკეთებული საჯარო განმარტება საქართველოს პოზიციასთან დაკავშირებით აღმოჩნდა სწორი და მისაღები და, რაც მთავარია, დროული რუსული მხარისათვის. კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ ეს პოლიტიკა თქვენ დაიწყეთ და თქვენი დამსახურებაა, რასაც ფრიად ვაფასებთ.

ამასთან, ნება გვიბოძეთ, შეგახსენოთ, რომ სამთავრობო სტრუქტურების გარდა, რუსეთთან მიმართებით, დიდი ხანია, მუშაობს რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია. ადამიანები, რომლებიც ამ ორგანიზაციებში არიან გაწევრებულნი, თავიანთი თავისუფლების რისკის ფასად, ავად სახსენებელი სააკაშვილის რეჟიმის პირობებში, დაუპირისპირდნენ რეჟიმს და პირდაპირ და ღიად განაცხადეს, რომ სწორედ რეჟიმია დამნაშავე რუსეთთან დაპირისპირებაში და საკუთრივ 2008 წლის აგვისტოს ომში. ამას მაშინ ქართული საზოგადოების ძალიან დიდი ნაწილი ვერ გაბედავდა. შესაბამისად, რეჟიმმა ამ ადამიანებსა და ორგანიზაციებს „პრორუსულის" იარლიყი მიაწება, თითქოს ისინი საქართველოს ინტერესების ხარჯზე ითხოვდნენ რუსეთთან ნორმალური ურთიერთობების არსებობას. არადა, ყველაფერი პირიქითაა, სწორედ საქართველოს ინტერესები მოითხოვს რუსეთთან კეთილმეზობლურ ურთიერთობებს. მათი შრომითა და მეოხებით, საქართველოში „ნაციონალების" პარპაშის ყველაზე მძიმე წლებში, ხდებოდა რუსეთთან მეგობრობის იდეის პროპაგანდა, რეჟიმის დანაშაულების მხილება. ის, რომ დღესდღეობით საზოგადოებრივი აზრი მთლიანად შემობრუნებულია რუსულ-ქართული ურთიერთობების სასიკეთოდ, მნიშვნელოვანწილად ამ ორგანიზაციების დამსახურებაცაა.

მაგრამ აღნიშნული ადამიანები და ორგანიზაციები მხოლოდ საქართველოში რუსეთთან მეგობრობის იდეების გავრცელებით არ შემოიფარგლებოდნენ. ისინი რუსულ საზოგადოებას განუმარტავდნენ, რომ სააკაშვილი და მისი რეჟიმი არ არის სრულიად საქართველო, ხოლო ქართველ ხალხს რუსებთან ომი არასოდეს სურდა და არც ახლა სურს. ამასთან, რუს საზოგადოებას შეახსენებდნენ, რაოდენ დიდი ღვაწლი აქვთ გაწეული ეთნიკურ ქართველებს რუსული სახელმწიფოს სასარგებლოდ, მისი ისტორიის მანძილზე.

დღეს, როდესაც თქვენი და თქვენი პოლიტიკის არაკეთილისმოსურნენი რიტორიკულად სვამენ შეკითხვას — „რატომ არ დაუწესა რუსეთმა ემბარგო საქართველოს?" — და პასუხს თქვენი პოლიტიკის „უნიათობაში", თქვენს „მოღალატეობაში", „რუსეთუმეობაში" და ათას სისულელეში ეძებენ, არასამთავრობო ორგანიზაციების ერთ ნაწილს აზრს ეკითხებიან რუსული ანალიტიკური ცენტრები, რომლებიც ამ მოსაზრებებს გადამუშავებული სახით უგზავნიან საკუთარი ხელისუფლების წარმომადგენლებს. დიპლომატიაში არავინ ენდობა მხოლოდ საჯარო განცხადებებს, ყოველი სახელმწიფო გადაამოწმებს რეალურ ვითარებას. ასე გადაამოწმა რუსულმა მხარემ, რამდენად გულწრფელია საქართველოს ხელისუფლება რუსეთთან მიმართებაში. ის, რომ რუსეთის ხელისუფლება ამ გულწრფელობაში დარწმუნდა, არცთუ ისე ცუდად მეტყველებს ქართული „პრორუსული" არასამთავრობოების მუშაობაზე!

ეს ორგანიზაციები რომ ეფექტურად მუშაობენ, „ნაციონალების" მიერ კონტროლირებადი მასმედიის გაღიზიანებითაც დასტურდება. ბოლო ასეთი მაგალითი გახლავთ „რუსთავი-2"-ზე გასული ვრცელი სიუჟეტი, სადაც გადაცემის ავტორი ეკა კვესიტაძე ამ ორგანიზაციებიდან მომდინარე რაღაც მითიურ საფრთხეებზე საუბრობს ისტერიულად.

ჩვენ, საზოგადოების წარმომადგენლები, მოგიწოდებთ, რომ ეფექტიანად გამოიყენოთ „პრორუსულად" მონათლული ორგანიზაციებისა და ცალკეული პიროვნებების რესურსი რუსეთთან მიმართებით. ეს მით უმეტეს აუცილებელია მაშინ, როდესაც ორ სახელმწიფოს შორის არ არსებობს დიპლომატიური ურთიერთობები. თქვენს მიერ ინიცირებული სამოქალაქო აქტივობების ფარგლებში მხარი დაუჭირეთ ასეთ ორგანიზაციებს. დასაწყისისათვის იქნებ შეხვდეთ და მოისმინოთ მათი წარმომადგენლების მოსაზრებები. ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, მზად ვართ, აქტიურად მივიღოთ მონაწილეობა ამ პროცესებში. დარწმუნებულნი ვართ, რომ ქართული ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები, რომლებიც ჯერ კიდევ 2013 წლის თებერვალში შეიკრიბნენ რუსულ-ქართული ურთიერთობების მომავლის განსახილველად (რასაც მაშინაც „ნაციონალური" მასმედიის ისტერიული რეაქცია მოჰყვა), ასევე აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ე. წ. სახალხო დიპლომატიაში. აუცილებელია რუსეთთან მიმართებით თქვენი პოლიტიკის მიღწევების შენარჩუნება და განვითარება, ვინაიდან 2016 წლის არჩევნებზე ხალხი აუცილებლად დიდ ყურადღებას მიაქცევს რუსეთთან ურთიერთობების სპექტრს, თემატიკას და, რა თქმა უნდა, წინასაარჩევნო რიტორიკას.

ღრმა პატივისცემით,

იოსებ არჩვაძე — ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

გოჩა გვასალია — ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

ვალერი დოლიძე — პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

თემურ მირიანაშვილი — პუბლიცისტი, პრეზიდენტ შევარდნაძის ყოფილი მრჩეველი რუსეთთან ურთიერთობების საკითხებში;

ნანა წითელაშვილი — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

სურათზე: ევრაზიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი გულბაათ რცხილაძე (მარცხნივ) მოსკოვში, რუსეთის სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტის დირექტორთან, გენერალ-ლეიტენანტ ლეონიდ რეშეტნიკოვთან.

09.10.2015 ვ2-01

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ნოვა კრედიტის" დირექტორის მელორი ასათიანის მიმართვა

ბ-ნი ფარხატ კურბანოვი (მსესხებელი)
ტოფიკ კურბანოვი (უზრუნველყოფის მესაკუთრე)

მოგესალმებით ბ-ნო ტოფიკ!

გაცნობებთ, რომ შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცა „ნოვა კრედიტსა" და ფარხატ კურბანოვს შორის 2012 წლის 6 ნოემბერს გაფორმებული, ნომერი: ***111200693*** საკრედიტო ხელშეკრულების, და 2012 წლის 6 ნოემბერს დადებული იპოთეკის ხელშეკრულება **№ 121204466** პირობები დარღვეულია, კერძოდ, საკრედიტო ხელშეკრულების ნომერი: ***111200693***-ის დანართში მითითებული გრაფიკის მიხედვით აღნიშნული სესხი 2015 წლის 6 მაისიდან იმყოფება ვადაგადაცილებაში. თანახმად ზემო აღნიშნული ხელშეკრულებებისა, 2015 წლის 9 ოქტომბრის მდგომარეობით მოვითხოვთ დარიცხული საჯარიმო პროცენტის (4,513.72 აშშ დოლარი), ვადაგადაცილებული საპროცენტო დავალიანების (2,849.78 აშშ დოლარი), დარიცხული პროცენტის(46.75 აშშ დოლარი), ძირითადი თანხა (18,959.41 აშშ დოლარი)(სულ: 26,369.66 აშშ დოლარის) უკან დაბრუნებას მაქსიმუმ ორი კვირის ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში მივმართავთ ნოტარიუსს სააღსრულებო ფურცლის ასაღებად იპოთეკის საგნის რეალიზებისთვის და შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ნოვა კრედიტის" თანხის უკან დაბრუნებისთვის საჭირო ზემოაღნიშნული ხელშეკრულებებით და კანონით განსაზღვრულ ყველა ღონისძიებას.

პატივისცემით,

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია შპს „ნოვა კრედიტის" დირექტორი
მელორი ასათიანი.

ტელ: 2 15 15 15. 2015 წლის 9 ოქტომბერი

09.10.2015 ვ2-02

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ნოვა კრედიტის" დირექტორის მელორი ასათიანის მიმართვა

ქ-ნ ნინო ადეიშვილს (მსესხებელს)

მოგესალმებით ქ-ნო ნინო!

გაცნობებთ, რომ შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცა „ნოვა კრედიტსა" და თქვენს შორის 2014 წლის 25 ივნისს გაფორმებული, ნომერი: ***061403317*** საკრედიტო ხელშეკრულების, და 2014 წლის 25 ივნისს დადებული იპოთეკის ხელშეკრულება № ***140656024*** პირობები დარღვეულია, კერძოდ, საკრედიტო ხელშეკრულების ნომერი: ***061403317***-ის დანართში მითითებული გრაფიკის მიხედვით აღნიშნული სესხი 2015 წლის 10 ივნისიდან იმყოფება ვადაგადაცილებაში. თანახმად ზემო აღნიშნული ხელშეკრულებებისა, 2015 წლის 9 ოქტომბრის მდგომარეობით მოვითხოვთ დარიცხული საჯარიმო პროცენტის (213.69 აშშ დოლარი), ვადაგადაცილებული საპროცენტო დავალიანების (280.53 აშშ დოლარი), ვადაგადაცილებული ძირითადი თანხა (287.46 აშშ დოალრი) დარიცხული პროცენტის(61.82 აშშ დოლარი), ძირითადი თანხა (2,593.60 აშშ დოლარი)(სულ: 3,437.10 აშშ დოლარის) უკან დაბრუნებას მაქსიმუმ ორი კვირის ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში მივმართავთ ნოტარიუსს სააღსრულებო ფურცლის ასაღებად იპოთეკის საგნის რეალიზებისთვის და შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ნოვა კრედიტის" თანხის უკან დაბრუნებისთვის საჭირო ზემოაღნიშნული ხელშეკრულებებით და კანონით განსაზღვრულ ყველა ღონისძიებას.

პატივისცემით,

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია შპს „ნოვა კრედიტის" დირექტორი
მელორი ასათიანი.

ტელ: 2 15 15 15. 2015 წლის 9 ოქტომბერი

ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №245

ფოტორელიკვიები კომენტარებით

ანა გრუზინსკაია

ანა გრუზინსკაია (ბაგრატიონ-მუხრანელი) გახლავთ ალექსანდრე ჭავჭავაძის და სალომე ორბელიანის ვაჟის, ნოვგოროდის დრაგუნთა პოლკის მეთაურის, წმინდა გიორგის ჯვრის კავალერის, გენერალ-მაიორის დავითის მეუღლე, მეფე ერეკლე II-ის შვილთაშვილი, გიორგი XII-ისა და მარიამ ციციშვილის ვაჟის ილია ბატონიშვილის ქალიშვილი. იგი სილამაზით და მომხიბვლელობით არ ჩამოუვარდებოდა ასევე სილამაზით განთქმულ მულებს: ეკატერინეს – სამეგრელოს მთავრის დავით დადიანის მეუღლეს, ნინოს – ცნობილი პოლიტიკოსისა და მწერლის ალექსანდრე გრიბოედოვის მეუღლეს და სოფიოს – ბარონ ნიკოლაის მეუღლეს. მულების გათხოვების შემდეგ ანა იყო სტუმართმოყვარე ჭავჭავაძეების ოჯახის დიასახლისი.

ცნობილია, რომ ჭავჭავაძეებთან სტუმრად მყოფი ალექსანდრე დიუმა მოიხიბლა ამ სახელგანთქმული ოჯახით და მისი უმშვენიერესი დიასახლისით. თავის წიგნში „კავკასია“ დიდ ადგილს უთმობს ჭავჭავაძეების ოჯახის ისტორიას. განსაკუთრებით აღფრთოვანებულია ანას მშვენიერებით. **„საქართველოში,** – წერს დიუმა, – რომელიც განთქმულია ულამაზესი ქალებით, **ანა გამოირჩეოდა უჩვეულოდ დახვეწილი პროფილით და ულამაზესი თვალებით. საოცარ მომხიბლაობასთან ერთად მის სახეს ღრმა სევდის იერი გადაკრავდა“.** ეს სევდა, სავარაუდოა, გამოწვეული იყო იმ საშინელი ტრაგედიით, რაც მან გადაიტანა 1853 წელს, ლეკების მიერ ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახის წევრების გატაცებისას. ანა ერთი წელი (1853-1854) იყო შამილის ტყვე, ოჯახს და ახლობლებს დაშორებული. მგზავრობის დროს კი ცხენზე მჯდომ ანას თავისი მეათე ახალშობილი ლიდა – ხელიდან გაუვარდა. ჩვილი ცხენებმა გათელეს. მიუხედავად საშინელი ტრაგედიის გადატანისა, **„უცნაური ის არის, რომ ამ წარჩინებულმა ტყვე ქალმა შამილისადმი ნამდვილი აღტაცება შეინარჩუნა“** – წერს ალექსანდრე დიუმა. მან ანა ნახა, როდესაც იგი 10 შვილის დედა იყო და გადატანილი ჰქონდა ეს საშინელი ტრაგედია. ყოველივე ამის მიუხედავად, მოხიბლული იყო ანას განუმეორებელი მშვენიერებით. აღსანიშნავია, რომ შამილისადმი კეთილგანწყობა გამოხატა, იმხანად კავკასიის მთავარმართებელმა, ფელდმარშალმა ბარატინსკიმაც.

ბარატინსკიმ, როდესაც შამილი შეიპყრო (ცნობილია, რომ 30 წლის განმავლობაში შამილი ვერავინ დაამარცხა), უკვე ციხეში მყოფს , მისი ვაჟკაცობის აღსანიშნავად, დაუბრუნა ჩამორთმეული მახვილი, შამილმა კი საპასუხოდ მახვილი ბარათთან ერთად უკან გაუგზავნა ბარატინსკის. ეს მახვილი, შამილის სურათთან ერთად, ფელდმარშალ ბარატინსკის, სიცოცხლის ბოლომდე ეკიდა საბარგაზო ოთახის კედელზე.

თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ შამილს ლექსი უძღვნა ჩვენმა სასიქადულო პოეტმა ანა კალანდაძემ „წარწერა შამილის სურათზე“:

„რამდენი ცრემლი მადინე,
სახლ-კარს მიწვავდი, მინგრევდი,
დაუძინებელ მტერსაც კი
თავს დაგიკრამდი მიწამდე.
საქართველოს ცის მადლით
შენდობას შემოგწირავდი“.

იმამ შამილს ჰქონდა განუმეორებელი ხიბლი საოცარი სიმამაცის ადამიანისა. ის რჩება ლეგენდად, რომელიც ბოლომდე არასდროს აიხსნება და რომელსაც ალბათ არასოდეს ექნება დასასრული.

თამარ შარვაშიძე

თამარ შარვაშიძე

გაგო დადიანი წერს: თამარ შარვაშიძე (1884-1926) – აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის უფროსი ქალიშვილი – იყო ჩემი გამზრდელი დიდედა (მამაჩემის დედა). დედამ განძაში დიდედასთან იმშობიარა. დაბადებისთანავე დიდედა თამარმა სთხოვა მათთან დავეტოვებინე, ლაისო დედამ, მიუხედავად დიდი განცდისა, დედამთილს უარი ვერ შეჰკადრა. დედა არ მახსოვს, ორი წლის ვიყავი, ის რომ გარდაიცვალა. ძუძუს მაწოვებდა დიდედას გაზრდილი მინაია-ჩიქობავასართანია. შემდეგ ამ ოჯახში გაიზარდა ჩემი ქალიშვილი (საოცარი ახლობლობა და სიყვარული დამკვიდრდა ჩვენს ოჯახებს შორის).

დიდედა თამარი უაღრესად განათლებული, კარგი მცოდნე ქართული დამწერლობის, ისტორიის... ის მე სულ წიგნით ხელში მახსოვს (ღრმა სიბერემდე უსათვალოდ კითხულობდა).

თამარ შარვაშიძე სრულიად ახალგაზრდა დაქორწინდა ბრწყინვალე პიროვნებაზე, განათლებულ და ვაჟკაცობით განთქმულ ნიკოლოზ ელიზბარის ძე დადიანზე.

ნიკოლოზი ადრე დაიღუპა ბრძოლის ველზე.

მათ ჰყავდათ 4 შვილი, ერთი ვაჟი და სამი ქალიშვილი. თამარი მეორედ დაქორწინდა უკეთილშობილეს, სათნო და მოსიყვარულე ნოე (კიჩი) ფაღავაზე. შეეძინათ ერთი ვაჟი – ჯვეგე, რომელიც 22 წლის ასაკში შემთხვევითმა ტყვიამ იმსხვერპლა. მიუხედავად დიდი ტრაგედიისა, იმ სიმძიმისა, რაც მათ გადაიტანეს, თამარი განაგებდა ოჯახს, არ აკლებდა ზრუნვასა და ყურადღებას ახლობლებს, შვილებსა და შვილიშვილებს. მათი ოჯახი განთქმული იყო სტუმართმოყვარეობით.

თამარი, მიუხედავად საოცარი სიკეთისა და ლმობიერებისა, იყო ძალიან მკაცრი, ტრადიციების მოყვარული.

არსებობს გიორგი შარვაშიძის ერთ-ერთი წერილი, სადაც ის ბოდიშს უხდის დას, რადგან სენაკიდან სოხუმში მის უნახავად წავიდა გადაუდებელი საქმის გამო.

უმცროსი და ბაბო კი უგზავნის სურათს წარწერით „თათუშა? რას მიწყრები?“ ბაბო იშვიათად ჩამოდიოდა თბილისში და ერთ-ერთი ჩამოსვლის დროს დააგვიანა უფროსი დის მონახულება.

დიდედა თამარი საინტერესო მოსაუბრე იყო. მისი საუბრები, მონათხრობი ამბები ოჯახზე, წინაპრებზე ან წაკითხულ საინტერესო წიგნზე, დაბალი ხმით, საოცარი მეტყველებით, ისეთი შთამბეჭდავი იყო, რომ ამის დავიწყება შეუძლებელია და სამუდამო თბილ მოგონებად დამრჩა.

ნოე ფაღავა შვილიშვილთან ბაბო დადიანთან ერთად

ნოე (კიჩი) ფაღავა

გაგო დადიანის მოგონებიდან: გამზრდელი ბებიის თამარის მეუღლე, დიდ სიყვარულსა და სითბოს გამოხატავდა ჩემს მიმართ. ინსტიტუტში სწავლის პერიოდში ხშირად ჩამოდიოდა განძიდან ჩემს სანახავად. საშობაოდ, არდადეგებზე განძაში მივდიოდი. უმშვენიერესი, დაუვიწყარი დღეები...

ხშირად ვღებულობდი მისგან წერილებს, განუზომელი სიყვარულით, ზრუნვით და სითბოთი აღსავსეს....

1924 წელს, 84 წლის მოხუცი დახვრიტეს...ცხედრის სანახავად, ღამით, ჩუმად, ჩემი გამზრდელი (მორდუ), მოსე სართანია და მისი შვილი გიორგი, ჩემი ძუძუმტე (ჩემი გაზრდილი ლუდა სართანიას მამა) წავიდნენ იმ ადგილას, სადაც გადმოცემით იცოდნენ, სად ჩაყარეს დახვრეტილები. ამოთხარეს მიწა, მოიპარეს კიჩი ბაბუს ცხედარი (მას ორივე მუჭი ჩაბღაუჭებული ჰქონდა წვერებში, ალბათ სიმწრისგან...), მოასვენეს სახლში. კუბოც ღამე ჩუმად მოიტანეს, ჩაასვენეს და, სიცოცხლის რისკის ფასად, მორდუმ და მისმა ვაჟებმა წაასვენეს განძის შაურკარის სასაფლაოზე. დაასაფლავეს მისი ერთადერთი ვაჟის გვერდით.

ნინო და ივერი (ივერიკო) მიქელაძეები

დავით მიქელაძის (მეველის) ვაჟი ივერიკო მიქელაძე ცხოვრობდა ყირიმში კრინიცკიში. ცოლად ჰყავდა ცნობილი მხატვრის აივაზოვსკის ახლო ნათესავი, გვარად ლატრი.

აივაზოვსკის მამული ივერიკოს მამულისაგან ორი კილომეტრით იყო დაშორებული... ის ხშირად დადიოდა ცნობილი მხატვრის სახლში, სადაც თავს იყრიდა რჩეული საზოგადოება. ორი შვილი ჰყავდა – ნინო და ნორა, ორივენი გიორგი შარვაშიძის ნათლულები იყვნენ. ქალიშვილები დაკრძალული იყვნენ ძველი ვერის სასაფლაოზე. ახლა მათი საფლავი დაკარგულია...

ცნობილია, რომ აკაკი წერეთელმა ივერიკოს უძღვნა ცნობილი ლექსი:

„ჭრელი პეპელა დაათრო
და გააბრუა იამა,
მას მიეპარა ივერი
დაიჭირა და იამა“.

ბოლო გამოცემებში ივერი შეცვლილია სიტყვა „ყმაწვილით“. ლექსის პირველი ვარიანტი ცნობილია და ამას ადასტურებს დავით მიქელაძის ქალიშვილიც. დავითის ქალიშვილი იგონებს კიდევ ერთ ფაქტს: აკაკის ჭადრაკი უთამაშია დავით მიქელაძესთან, დავითს მოუგია, აკაკისთვის ივერსაც მოუგია. აკაკის უხუმრია: **„მამამ მომიგო, ძემ მომიგო, სული წმინდაღა დამრჩაო“.**

ნინო მიხეილის ასული შარვაშიძე (1851-1868)

აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის მიხეილის აფხაზეთიდან მუხანათურად გასახლების შემდეგ, მის მცირეწლოვან შვილებსაც არ მისცეს უფლება მშობლიურ აფხაზეთში ცხოვრებისა და გაამწესეს თავიანთ მამასთან, ვორონეჟში. ნინომ ვერ აიტანა იქაური ჰავა, დაავადდა ჭლექით. ექიმების რჩევით, გადარჩენის ერთადერთი იმედი იყო დაბრუნებოდა მისთვის ჩვეულ ჰავას, მაგრამ არ მისცეს ნება, დაბრუნებულიყო, მიუხედავად ბევრი გავლენიანი პირის შუამდგომლობისა.

დიდმა თავადმა მიხეილ ნიკოლოზის-ძემ მას არ დართო ნება, დაბრუნებულიყო სამშობლოში და სრულიად ახალგაზრდა, 15 წლის ასაკში, გარდაიცვალა. ჩამოასვენეს საქართველოში.

სიკვდილის შემდგომ კი ოჯახს ასევე არ მისცეს უფლება, მშვენიერი ნინო შარვაშიძე დასაფლავებულიყო მოქვში, საგვარეულო აკლდამაში, დედისა და მამის გვერდით. იგი დასაფლავებულია თბილისში, ქაშვეთის საკათედრო ტაძრის პირველ სართულზე.

მიხეილ მიხეილის ძე შარვაშიძე (1854-1900)

გაგო დადიანის ჩანაწერებიდან: მიხეილ მიხეილის-ძე შარვაშიძის შესახებ, სამწუხაროდ, ძალიან ცოტა რამ არის ცნობილი. მისი ცხოვრების ზოგიერთ ფაქტს ვგებულობთ უმცროსი დის გაბო მიხეილის ასულ შარვაშიძის ლონდონში დაწერილი დღიურიდან (დღიური ინგლისურენოვანია და ინახება ჩემს არქივში). ბევია გაბო აღწერს მათი აფხაზეთიდან გაძევების საკმაოდ მძიმე სურათს. მიხეილ შარვაშიძის აფხაზეთიდან მოტყუებით და მუხანათური გადასახლებიდან რამდენიმე ხნის შემდეგ მისი მცირეწლოვანი შვილებიც (ნინო – 14 წლის, მიხეილი – 9 წლის, გაბო – 6 წლის) აიძულეს, დაეტოვებინათ აფხაზეთი. დამშვიდობებისას მიხეილს და გაბოს გარკვეულ ადგილამდე აცილებდნენ ახლობლები... მიხეილს – ძიძიშვილები, გაბოს – უსაყვარლესი გამზრდელი ძიძა.

გაბო იგონებს, რომ მეორე დღეს, როდესაც ისინი უნდა დაცილებოდნენ თავის გამცილებლებს, მთელი ღამე, გვერდით ოთახიდან, სადაც მისი ძმა იმყოფებოდა თავის ძიძიშვილთან ერთად, განუწყვეტლივ მესმოდაო ჩემი ძმის მიხეილის გულშემზარავი ოხვრა.. მეც იგივე განვიცადე გამზრდელი ძიძის დაშორებისას, მხოლოდ განსხვავებით ჩემი ძმისაგან, ჩუმად გამოვხატეო უდიდესი და უმძიმესი განცდა.

მიხეილს, მიშოს, როგორც მას ახლობლები ეძახდნენ, ცხოვრებაში არ გაუმართლდა, 17 წლის ასაკში უნდოდა უნივერსიტეტში ჩაებარებია, მაგრამ დიდმა თავადმა მიხეილ ნიკოლოზის-ძემ არ დართო ნება და იგი, თავისი სურვილის გარეშე, ხდება ნიკოლაევის კავალერიის პოლკის კადეტი. ბოლოს ჰუსართა პოლკის ოფიცერი იყო და ძირითადად პეტერბურგში ცხოვრობდა. ეტყობა, ის თავისი ბედით უკმაყოფილო გახლდათ და ბოლო ხანებში გაბო შარვაშიძე განიცდიდა, რომ მისი ძმა დიდ დროს უთმობს ქეიფებს, დროს ტარებას. სამწუხაროა, რომ გაბო შარვაშიძე არაფერს წერს, თუ რა ვითარებაში გარდაიცვალა და სად არის დასაფლავებული მიხეილი. იგი გარდაიცვალა 1900 წელს.

მასალები მოგვაწოდა
თათული ღვინიაშვილმა

ესამშობლოთა სამშობლო

მეორე მსოფლიო ომის დროს სამხედრო ტყვეთა ბანაკში ქართული ცეკვისა და სიმღერის 78-კაციანი ანსამბლი ჩამოაყალიბა ტყვედჩავარდნილმა დათაშა კავსაძემ. ქართული ხელოვნებით მოხიბლული გერმანელების და ავსტრიელების თანადგომით ისინი მალე თავისუფალ ზონაში გადაიყვანეს. მათ განსაკუთრებით მფარველობდა ქართული ემიგრაცია. ანსამბლში ერთადერთი ქალი იყო – ულამაზესი მარიამ კერესელიძე, გენერალ ლეო კერესელიძის ქალიშვილი....

დათაშა კავსაძის ანსამბლის შესახებ გვიამბობს ყოფილი სამხედრო ტყვე ნიკოლოზ ჯანელიძე, რომელმაც დარჩენილი ცხოვრების წლები გერმანიაში, ქალაქ ჰ ამბურგში გაატარა. იქვე დაიკრძალა მის მიერ წინასწარ შერჩეულ შეძენილ საფლავში... ხელნაწერი ქვეყნდება პირველად.

(ავორის სტილი დაცულია)

დათაშა კავსაძის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი.

დათაშა (დავით) კავსაძე ბერლინთან ახლო მდებარე სამხედრო ტყვეთა ლაგერში გავიცანი. სოფელი ვუსტრავა სადგურ რადენსლებენთან, ქ. ნეორუპინიდან 10 თუ 12 კმ-ითაა დაშორებული.

აქ განთავისუფლებულ ტყვეებს შემოსავდნენ მოქალაქის სამოსში თავიდან-ფეხებამდე და რამდენიმე კილომეტრში თავისუფალი მოძრაობაც შეეძლოთ. უმრავლესობას სამუშაოზე აწესებდნენ ქარხნებში, სოფლის მეურნეობაში. იყო განსაკუთრებული კურსებიც, რომ გერმანული ენა შეესწავლათ!

ამ ლაგერში საბჭოთა კავშირის ყველა ეროვნების ხალხი იყო, რომლებიც გერმანულმა ჯარმა სამხედრო ტყვედ ხელში ჩაიგდო. საერთოდ, სამხედრო ტყვეობა არ იყო ადვილი. განსაკუთრებით ცუდი ჩვენთვის იყო, რადგან მაშინდელი საბჭოთა მთავრობა ინტერნაციონალური წითელი ჯვრის კომიტეტში არ შევიდა, ანუ ჩვენზე, ჩვენს უფლებებსა და ჯანმრთელობაზე არავინ ზრუნავდა და არავინ გვიცავდა..

გერმანიის ტერიტორიაზე უფრო და უფრო წინ მიდიოდნენ საბჭოთა კავშირის ჯარები, ჩვენი ვინც სამხედრო ტყვეებიდან ვიმყოფებოდით აქეთ, არ მოგველოდა კარგი საქმე საბჭოთა კავშირიდან (რატომ არ ვიცი, ომი სამხედრო ტყვეების გარეშე ჯერ არ ყოფილა!)...

და როგორც გვეუბნებოდნენ, სტალინის რეჟიმი გვსჯიდა. მე მეგონა, დაბრუნებული სამხედრო ტყვეები სიყვარულით და თბილად უნდა მიეღოთ.

ამის გამო დათაშა კავსაძის გუნდი ქართულმა შტაბმა იტალიაში გადაიყვანა! ახლა ედელჰოფის მონასტრის შენობაში დავრჩი, სადაც ჩვენი რეპეტიციები მიმდინარეობდა, მარტო მე და სამი ლეგიონერი. ძალიან მოწყენილი გავხდი, რადგან დავცილდი 75 ქართველთ, რომლებთანაც დიდი ხანი, გრძელი და ლამაზი დრო გავატარე.

ამ თავისუფალ ლაგერში ვუსტრაუში გავიცანი დათაშა კავსაძე, ისიც უკვე ტყვეობიდან განთავისუფლებული იყო და მას საკუთარი ოთახი ჰქონდა, როგორც ლოტბარს, აქ მან ქართველი ემიგრანტების დახმარებით დააარსა ქართულ მოსიმღერეთა გუნდი, რომლის შემადგენლობაში მაშინ 75 წევრი იყო.

ქართულმა ემიგრაციამ დიდი დახმარება გაუწია ქართველ სამხედრო ტყვეებს. ჩამოდიოდნენ საფრანგეთიდან, ბელგიიდან, იტალიიდან და გერმანიის ქართული ემიგრაცია ხომ არაფერს არ იშურებდნენ და არაფერს არ ზოგავდნენ ქართველი სამხედრო ტყვეებისათვის... ტანისამოსები, ფეხსაცმელები და, რაც მთავარი იყო, სულიერი სიყვარული და პატივისცემა.

ქართულმა ემიგრაციამ ქართველი სამხედრო ტყვეები მიიღო, როგორც საკუთარი შვილები თუ საკუთარი შვილიშვილები... ჩვენი გადმოხიზნული მამულიშვილები მხიარული თვალებით, მომცინარე სახით და მხიარული ბაასით გვიადვილებდნენ უსამშობლო და უიმედო ცხოვრებას. გვაძლევდნენ სიცოცხლის იმედს.

ქართულ გუნდს ჰყავდა დათაშა კავსაძის საუკეთესო მომღერლები და კარგი მოცეკვავეები. ქორეოგრაფად იყო **იოსკა (იოსებ)** გვარად მგონი ქავთარაძე, თბილისური კილოთი ქართულად ლაპარაკობდა. იოსკა ტანმორჩილი კაცი იყო, კეთილი სახით და თვისებებით.

საუკეთესოდ ასწავლა ქართული ცეკვები ახალგაზრდა ქართველებს! მაშინ, როდესაც მომღერლები და მოცეკვავეები შავი ჩოხა-ახალუხით იყვნენ შემოსილი, იოსკა თეთრ ჩოხა-ახალუხში იყო და თეთრი უძიროები ეცვა. მისი გამოსვლა სცენაზე ხიბლავდა ყველას და დამსწრეებს სიხარულით დიდ ინტერესში შეყავდა. გერმანელი დამსწრეები დიდი ტაშის გრიალით აჯილდოებდნენ გუნდს, როდესაც ჩვენ ძველ ქართულ ცეკვას სიმღერით ასრულებდნენ: „მუმლი მუხასაოა“... მომღერალ-მოცეკვავეთა გუნდში მხოლოდ ვაჟები იყვნენ, და მხოლოდ ერთი ქალი და ეს ქალი იყო ლამაზი და გონებრივად ძალიან განვითარებული ქალი **მარიამ კერესელიძე.**

მარიამი იყო ერთადერთი ქალიშვილი გენერალ **ლეო კერესელიძის .**

მარიამის დედა წარმოშობით შვეიცარიელი ქალი იყო, მგონი სახელად მართა. მარიამის დედას საქართველოში უცხოვრია, სანამდის პოლიტიკური მდგომარეობა საშუალებას აძლევდა.

ბატონი ლეო კერესელიძე ხელმძღვანელობდა გერმანიაში ქართულ ლეგიონს. მე მქონდა საშუალება, ბ-ნი გენერალი ლეო კერესელიძე ერთხელ მენახა, ტყვეთა ლაგერში, სოფელ ვუსტრავოში.

პოლიტიკურად მგონი „თეთრი გიორგის“ პარტიას ეკუთვნოდა.

– „კოლია, კოლია, მეტყოდა ქალბატონი მარია, – მე მთელი ქვეყნიერება მომივლია და მათი მოსახლეობა გამიცვნია, მაგრამ ისეთი ლამაზი ქვეყანა და ისეთი საუკეთესო ხალხი, როგორც ქართველები, არსად არ არსებობს“- ო. მარიამ კერესელიძე იყო მაღალი, წვრილი ტანის, ლამაზი ქალი, ყოველმხრივ ქართული თვისებებით სავსე.

ევროპაში, ცხენოსნობაში მევრჯერ, პირველი ჯილდო მიუღია.

ახლა კი მისი ლამაზი ლერწამი ტანის მიმოხვრით, ლამაზ ქართულ ცეკვებში მაყურებელს ხიბლავდა და გუნდს კიდევ მეტ სილამაზეს აძლევდა. საჭიროების დროს ვაჟის ცეკვის როლშიც გამოდიოდა.

გენერალი ლეო კერესელიძე ბერლინის დამბობვის დროს დაიღუპა!

ომის დამთავრების შემდეგ მარიამმა თავისი მამის ნაწერები გადმომიგზავნა საქართველოსთვის, ეს იყო 1952 წელში. მე ლეო კერესელიძის ხელთნაწერები ჩავაბარე ქ. ჰამბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას.

როდესაც დათაშა კავსაძის გუნდი ედელჰოფის მონასტრის შენობაში დააბინავეს, გუნდის წევრები კმაყოფილი იყვნენ. ამ მონასტრის შენობა ძალიან ლამაზი იყო. მდებარეობდა 3 კილომეტრით დაცილებული სადგურს.

გუნდი სადილის წინ და ნასადილევს მეცადინეობდა. კონცერტებს მართავდნენ სხვადასხვა ქალაქებში. ავსტრიაში, ქ. ვენაში, ერთხელ „სულიკოს“ მღეროდნენ სცენაზე. დარბაზში დამსწრეებიც აჰყვნენ და სულიკოს მღეროდნენ. უკანა რიგში, სკამზე ვიჯექი და კარგად ვგრძნობდი ავსტრიელ დამსწრეთა აღტაცებას!

ამ სახლში ქართული შტაბი ბერლინიდან დასასვენებლად აგზავნიდა დაჭრილ ლეგიონერებს. მეც აქ გამომგზავნეს გამოსაჯანმრთელებლად.

ასე მოვხვდი ავსტრიის რეგიონის ედელჰოფში. ამ შენობის ირგვლივ დიდი ტყეები იყო და სიმშვიდე! მონასტრის ირგვლივ, მთის წყაროდან – ღელე მოჩუხჩუხებდა.

ჩვენი ბიჭები ქვებში შემალულ კალმახებს იჭერდნენ, სწვავდნენ და კარგად შეკმაზულს გემრიელად მიირთმევდნენ.

ქლიავის და ჭინჭრის ხეების ბაღი მონასტრის შენობის წინ იყო, მონასტრის საკუთრება, ამის გამო ჩვენი ქართველი ახალგაზრდობა ძალიან თავშეკავებულნი იყვნენ და არ კრეფდნენ ნაყოფს. იქ მცხოვრები 30 მონაზონის მიმართ თავს ძალიან ზრდილობიანად, უკან იკავებდნენ.

გუნდში მღეროდა ალიოშა მამრიკიშვილიც, რომელიც მსახიობი იყო! დათაშა კავსაძის გუნდში სიმღერის გარდა ის წარმოადგენდა **აკაკი წერეთლის „პატარა კახიდან“** მონოლოგს, რომლის მოსმენა მსმენელს ჟრუანტელივით ტანში გაუვლიდა, რადგან ისე გრძნობიერად ლაპარაკობდა ზეპირად... ალიოშა ხელებს რომ ზევით აიშვერდა და გულიანად შესძახებდა ღმერთს:

„და შენც, უფალო, ამდენი ტანჯვა სამარადისოდ იკმარე მსხვერპლად!“

ამ სიტყვების გამგონე ქართველებს თვალები ცრემლებით გვევსებოდა!..

ასეთივე მონოლოგს ზეპირად ამბობდა ექიმი ყანდიაშვილი მიშა, ვაჟა-ფშაველას „ჯარისკაცის წერილიდან“ (იმედია, სათაური სწორად აღვნიშნე. თუ არა, შემინდე მკითხველო!).

წარმოიდგინეთ ახალგაზრდა ქართველი ვაჟები, საუკეთესოდ ჩაცმულნი ჩოხა-ახალუხში, გაბრწყინებული თვალებით და კეთილშობილი სახით, ხიბლავდა გერმანელ-ავსტრიელ გოგოებს და ქალებს, რომლებიც მონასტრის შენობას ნელი ნაბიჯით და სიცილ-ხარხარით გარშემო უვლიდნენ, რომ ქართველი ვაჟი თავისთვის მოეზიდათ და ამასთან ერთად ესეირნათ თუ სხვა რამისათვის კავშირი გაებათ.

ჩვენი დათაშა კავსაძე თვითონაც კარგად გამოიყურებოდა. მაღალი მოწვრილო ტანი, კარგი მოსაუბრე და თან სასახელო ლოტბარიც... ხედავდა ამას და ერთ დღეს, ნასადილევს, გუნდის მეცადინეობის წინ განაცხადა:

– „მე ვხედავ, თუ როგორ უკან დაგვსდევენ ავსტრიელი გოგოები და ქალები, რომლის ქმრები ჯარში არიან გაწვეულნი. ისინი იბრძვიან და ფიქრობენ, თუ როდის დაუბრუნდებიან თავის სახლ-კარს და თავის ცოლ-შვილს. ჩვენ, ქართველ მამაკაცებს, თავდაჭერა გვმართებს. ნუ გამოვიყენებთ ქალის გრძნობების სისუსტეს ამ შემთხვევაში და ნუ დაიჭერთ კავშირს მათთან. ჩვენი ცოლებიც ხომ გველოდებიან სახლში და რა სიმწარე იქნება თუ ცოლები ჩვენც გვიღალატებენო!

ვინც ამ ჩემს თხოვნას არ შეასრულებს, მაშინ იძულებული ვიქნები, ის გუნდიდან გავანთავისუფლო, გუნდიდან გავრიცხო!“..

და მართლაც, ქართველი ბიჭები ვაჟკაცურად, ღირსეულად თავს იკავებდნენ (თუმცა ამ ლამაზ გოგონებთან და ქალებთან ძალიან სიამოვნებით იარშიყებდნენ)... ერთხელ სანტ-პოელტენის ქალაქის კლუბში დათაშა კავსაძემ კონცერტი გამართა.

დარბაზი სავსეა. გუნდის წევრები სცენაზე სულგანაბულნი დგანან და ელოდებიან დათაშას. მალე სცენაზე გამოჩნდა ჩვენი დათაშა. დარბაზი ტაშის გრიალით შეხვდა და აი, რა მოხდა:

დათაშას დაავიწყდა დამსწრეთა მისალმება და გამოსვლისთანავე გუნდის წინ წარსდგა, ხელები ასწია და გუნდი ქართული სიმღერით ააჟღერა. ეს ამბავი გუნდის წევრებმაც შეამჩნიეს, ალბათ დათაშა ისე იყო განმსჭვავლული თავის მოვალეობით, რომ დამსწრეთა მისალმება გადაავიწყა. ამან მაინც ვერ დაჩრდილა ქართული გუნდი, რომლის სიმღერებს დამსწრეები განუწყვეტელი ტაშის გრიალით და ფეხების იატაკზე ბაკუნით აჯილდოვებდნენ. ცეკვების დროს იოსკა თავის თეთრ ჩოხა-ახალუხში შავ ჩოხოსნებში რომ ჩახტებოდა, დამსწრენი აღტაცებულნი, ინტერესით თვალთ ადევნებდნენ ქართულ ხალხურ ცეკვებს.

ვასო აბაშიძე მაღალი, ლამაზი ვაჟკაცი იყო. შავ ჩოხა-ახალუხში რომ შემოფრიალდებოდა სცენაზე მართლაც საქართველოს სახე წინ მიდგებოდა.

ასე რომ, ქართულმა ემიგრაციამ დიდი ქება დაიმსახურა, იმოდენა, რომ დათაშა კავსაძე ჩქარა გერმანიის სამხედრო ტყვეობიდან გაანთავისუფლა. მისი ქართული გუნდი მთელ საქართველოს კარგ სახელს უხვეჭდა!

ერთხელ ლაგერის კომენდატმა ფრაშმა, საღამოს, გერმანელი სტუმრები მოიწვია. ღვინო, სასმელ-საჭმელი საკმარისი იყო.

ქართულადაც შეკმაზულმა საჭმელებმა გერმანელ-ავსტრიელებს ჭამის მადა კიდევ მეტად გაუღვიძა.

ჯერ ქართული ხმა, დაბალი სიმღერა ატკბობდა ყველას, მეორედ კი ევროპული ცეკვები აახლოვებდა მოცეკვავეებს ერთიმეორესთან.

საღამო დამთავრდა კოცნა-ხვევნით, გულიხსმიერი გამომშვიდობებით.

ჩვენც ყველა დასაძინებლად წავედით: უცებ ვისმენ პიანინოს ხმას, რომელზეც „სამშობლო ხევსურისა“ აჟღერდა დათაშა კავსაძის დაკვრით... მსმენელი ქართველების თვალები ცხელ-ცხელი ცრემლებით იყო სავსე!

ყველას გულში სამშობლოს სიყვარული ღვივოდა!

ყველას ფანჯრები გაეღოთ, ფანჯრიდან თავი იმ დარბაზისკენ მოეპყრათ, სადაც დათაშა პიანინოზე „სამშობლო ხევსურისას“ სიყვარულით უკრავდა და მღეროდა...

ჩანართზე მუშაობდნენ ნინო ხოფერია და კახა ქორიძე

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

ნატოში – გეგმის გარეშე?

მიიღებენ საქართველოს ნატოში წევრობისათვის მზადების გეგმის გარეშე? საქართველოს თავდაცვის უწყების ხელმძღვანელი თინათინ ხიდაშელი მიიჩნევს, რომ არსებობს ასეთი შესაძლებლობაც. ამის შესახებ მან განაცხადა ბრიუსელში, სადაც მიმდინარეობს ალიანსის მინისტერიალი. თუმცა ექსპერტებმა თბილისში ეჭვი გამოთქვეს იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს შეუძლია გამოტოვოს ნატოსთან ინტეგრაციის ეს მნიშვნელოვანი ეტაპი.

მაპი – ესაა მოქმედებათა კონკრეტული გეგმა, რომელიც უნდა განახორციელონ პრეტენდენტმა სახელმწიფოებმა სამხედრო-პოლიტიკურ ალიანსში შესვლის წინ. ამავე დროს ასეთი გეგმის მიღება არ ნიშნავს ნატოში შემდგომ ავტომატურ შესვლას. მიუხედავად ამისა, სწორედ მაპი ითვლება უკანასკნელ და ძირითად საფეხურად ალიანსის წევრობის გზაზე. ამიტომაა, რომ საქართველო უკვე მრავალი წელია არ იშურებს მცდელობას მისი მიღებისათვის, თუმცა 8 ოქტომბერს საღამოს საქართველოს თავდაცვის მინისტრმა თინა ხიდაშელმა, რომელიც ბრიუსელში ნატოს მინისტერიალის მუშაობაში მონაწილეობს, გააკეთა ერთობ მოულოდნელი განცხადება. მან თქვა, რომ „საქართველოს ამოცანა და მიზანი – ესაა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში შესვლა“, მან ამავე დროს მოულოდნელად დაუმატა, რომ მაპის მიღება „საქართველოს მიზანი არაა“. მინისტრმა მოუწოდა ჟურნალისტებს – ნუ ეძებენ დაპირისპირებას მის სიტყვებში:

„ჩვენი ამოცანა ამ მინისტერიალზე და ნატოს შემდგომ სამიტზე (2016 წელს ვარშავაში) არის ის, რომ მაქსიმალურად მივუახლოვდეთ ჩვენს სტრატეგიულ მიზანს. მთავარია, რომ ვარშავის სამიტის შემდეგ საქართველო აღმოჩნდეს იმ დონეზე, რომლის შემდეგაც აღარ დარჩება არანაირი შუალედური ეტაპები და ნაბიჯები ჩვენს ქვეყანასა და ნატოს შორის. თუ ჩვენ მივიღებთ მაპს, ნებისმიერი შუალედური ეტაპი, რასაკვირველია, გაქრება, და ჩვენ შევძლებთ, დავიწყოთ მუშაობა უკვე უშუალოდ წევრობისათვის. თუ ჩვენ ვერ მივიღებთ მაპს, მაშინ ჩვენი ამოცანაა – მივიღოთ ისეთი ტიპის დეკლარაცია, რომელიც აღიარებს, რომ ჩვენს შორის უკვე აღარ არსებობს არანაირი შუალედური ეტაპი. მე მერჩივნა მეორე ვარიანტი – რომ ეს საკითხი გადაწყდეს ვარშავაში სამიტზე მაპის გარეშე“.

ნატოს ხელმძღვანელობაში საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოულოდნელ აღიარებაზე ჯერჯერობით არანაირი რეაგირება არ გაუკეთებიათ, ყოველ შემთხვევაში საჯაროდ. როგორც ჩანს, არ არის ერთიანი აზრი ამ პოზიციასთან დაკავშირებით ბრიუსელში ქართული დელეგაციის წარმომადგენელთა შორისაც კი, აი რა თქვა საქათველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა:

„ნატოს გენერალურმა მდივანმა მართლაც გააჟღერა ძალიან მკვეთრი გზავნილები პროგრესთან დაკავშირებით, რომელიც მიაღწია საქართველომ ნატოში წევრობისკენ მიმავალ გზაზე, მაგრამ როგორ აისახება ეს პროგრესი, იქნება ეს მაპი თუ რაიმე სხვა, დრო გვიჩვენებს. საერთოდ, მაპი – ესაა ლოგიკურად შემდგომი ნაბიჯი რასაც უნდა ელოდეს საქართველო, თუმცა, რასაკვირველია, ჩვენი საბოლოო მიზანი – ესაა ნატოს წევრობა“.

საქართველოს ორივე მინისტრი არ მალავენ ოპტიმიზმს საქართველოსა და ევროატლანტიკური ალიანსის შემდგომ თანამშრომლობასთან დაკავშირებით. ნატოში წევრობა ეს არის უახლოესი მომავლის საკითხი, ხაზგასმით აღნიშნავდნენ გამოსვლების დროს ხიდაშელი და კვირიკაშვილი. ეს დღეს დაადასტურა ალიანსის გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა, რომელმაც, როდესაც გამოდიოდა მინისტერიალის მონაწილეების წინაშე; საქართველოს დაუთმო უფრო მეტი ყურადღება; ვიდრე ამას ჩვეულებრივად აკეთებდა ხოლმე.

„საქართველომ და ნატომ თავიანთ საპარტნიორო ურთიერთობებში უკანასკნელი წლის განმავლობაში მართლაც უზარმაზარ პროგრესს მიაღწიეს. ჩვენ გავხსენით ახალი სასწავლო ცენტრი (ნატოს სწავლებისა და შეფასების ცენტრი საქართველოში), სადაც უკვე გაიმართა პირველი სწავლება. ჩვენ მივაღწიეთ პროგრესს მთელ რიგ საკითხებში და ახლა დადგა დრო, ვიფიქროთ ჩვენი შემდგომი თანამშრომლობის განვითარების შესახებ“.

კიდევ ერთი სასიამოვნო სურპრიზი გახდა სიახლე ნატოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე. გამოსვლები მინისტერიალის დროს შეიძლებოდა მოგესმინა ქართულ ენაზე რეალური დროის რეჟიმში. ალიანსის საიტი გვთავაზობს სინქრონულ თარგმანს ქართულ ენაზეც, ინგლისურ, ფრანგულ და რუსულ ენებთან ერთად.

მაგრამ თბილისში ყველაზე მეტი ინტერესი მაინც თინა ხიდაშელის განცხადებამ გამოიწვია. ყველა ქართველი ექსპერტი როდი ეთანხმება თავდაცვის მინისტრს, რომელსაც მიაჩნია, რომ საქართველოს არ დასჭირდეს მაპი. დამოუკიდებელი ანალიტიკოსი ზაალ ანჯაფარიძე, მაგალითად, მიიჩნევს, რომ „საქართველოს თავდაცვის უწყების ხელმძღვანელი, რბილად რომ ვთქვათ, აჭარბებს“:

„მე, მაგალითად, არ შემიძლია გავიხსენო უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში შემთხვევა, რომ ნატოს მიეღოს ახალი წევრები მაპის გარეშე. ეს არის მეტად მნიშვნელოვანი, მე ვიტყოდი ფუნდამენტური ეტაპი ალიანსში შესვლისთვის, რომელიც შეიცავს მთელ რიგ ღონისძიებებსა და ამოცანებს კანდიდატი ქვეყნისათვის. საერთოდ, ჩემი აზრით, ქალბატონი ხიდაშელი უკანასკნელ ხანებში აკეთებს საკმაოდ საპირისპირო განცხადებებს. როგორც ჩანს იგი ცვლის რიტორიკას სიტუაციის შესაბამისად. ადრე ის ლაპარაკობდა, რომ, თუ საქართველო არ მიიღებს მაპს, ეს იქნება „ტრაგედია“ სახელმწიფოსთვის, ახლა კი იგი ამტკიცებს, რომ მაპი საქართველოს მიზანი არაა. არ შემიძლია ვთქვა, რის საფუძველზე კეთდება ასეთი განცხადებები, მაგრამ, რასაკვირველია, ნატოში აუცილებლად და ყურადღებით მოისმენენ აზრსა და არგუმენტებს ჩვენი თავდაცვის მინისტრისა, თუმცა ისინი მიიღებენ ისეთ გადაწყვეტილებებს რაც მათს ინტერესებს შეესაბამება“.

მთლიანად, ანალიტიკოსის აზრით, ჯერჯერობით ძნელია, გააკეთო პროგნოზები მომავალი სამიტის წინ ვარშავაში, რომელზეც თინა ხიდაშელს განზრახული აქვს, „მჭიდროდ“ მიუახლოვოს საქართველო ალიანსს. ანჯაფარიძეს მიაჩნია, რომ მოვლენები მსოფლიოში ვითარდება იმდენად სწრაფად და ზოგჯერ მოულოდნელადაც კი, რომ იმ 9 თვემ, რაც სამიტის დაწყებამდე რჩება, შეიძლება ისე დააშოროს საქართველო ნატოს, როგორც მოუახლოვოს მას, ალიანსში შესვლამდე.

Эхо Кавказа

დედამიწის ზურგზე

ევროკავშირს შეუძლია, მოუხსნას სანქციები ბელარუსსა და ლუკაშენკოს ქვეყნის პრეზიდენტის არჩევნებიდან ოთხი თვის შემდეგ

ამის შესახებ იტყობინებიან „როიტერის“ დიპლომატიური წყაროები. სააგენტოს თანამოსაუბრეთა სიტყვებით, გადაწყვეტილება სანქციების მოხსნის შესახებ შეიძლება მიიღონ უკვე 12 ოქტომბერს. ერთ-ერთმა წყარომ განაცხადა, რომ შეზღუდვის ღონისძიებათა გაუქმება დამოკიდებულია ბელარუსის პრეზიდენტის არჩევნების მსვლელობაზე, რომელიც 11 ოქტომბრისთვისაა დანიშნული.

საფრანგეთმა მეორედ შეუტია „ისლამურ სახელმწიფოს“ სირიაში ჰაერიდან

როგორც რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრმა ჟან-ივ ლე დრიანმა განაცხადა, ავიადარტყმები განხორციელდა პარასკევს ღამით, „ორმა თვითმფრინავმა „რაფალმა“ ბომბები დაუშინა „ისლამური სახელმწიფოს“ ბოევიკების საწვრთნელ ბანაკს. ამოცანები შესრულებულია“, – განმარტა უწყების ხელმძღვანელმა. საფრანგეთის სამხედრო-საჰაერო ძალებმა ისლამური სახელმწიფოს ბაზები სირიაში პირველად 27 სექტემბერს ღამით დაბომბეს.

„ნასას“ მეცნიერებმა აღმოაჩინეს იმის დადასტურება, რომ ძველად მარსზე ტბები არსებობდა

მონაცემები, რომლებიც მიღებულია მარსმავალიდან გეილის კრატერში, მოწმობს ტბების სისტემის არსებობას ათასობით წლის განმავლობაში. ამის შესახებ მეტყველებს ნალექები. ამავე დროს ტბები არსებობდა საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, რომ წითელ პლანეტაზე გაჩენილიყო სიცოცხლე.

ტუნისურ ორგანიზაციას მშვიდობის დარგში ნობელის პრემია მიენიჭა

როგორც „დოიჩე ველე“ წერს, ამის შესახებ ოსლოში მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის კომიტეტმა განაცხადა.

ტუნისურმა ორგანიზაციამ -„ტუნისში ეროვნული დიალოგის კვარტეტმა“ პრემია „2011 წლის ჟასმინის რევოლუციის შემდგომ, ტუნისში პლურალისტულ დემოკრატიის შექმნაში გადამწყვეტი კონტრიბუციისთვის“ მიიღო. აღნიშნული ორგანიზაცია 2013 წელს შეიქმნა, როცა ტუნისში ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით სიტუაცია გაუარესდა.

როგორც მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის კომიტეტის პრესრელიზშია აღნიშნული, „კვარტეტის“ საქმიანობის შედეგად შესაძლებელი

გახდა დიალოგის დაწყება ტუნისის მოქალაქეებს, პოლიტიკურ პარტიებსა და ხელისუფლებას შორის.

პრემიის მინიჭების საზეიმო ცერემონია ნორვეგიის დედაქალაქში 10 დეკემბერს გაიმართება.

წელს მშვიდობის დარგში ნობელის პრემიისთვის 270 კანდიდატი იბრძოდა. ფავორიტებად, მიიჩნეოდნენ გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი, რუსული ოპოზიციური გამოცემა „ნოვაია გაზეტა“ სპეცსამსახურების ყოფილი თანამშრომელი ედუარდ სნოუდენი და რომის პაპი ფრანცისკე.

ისრაელში პალესტინელმა ტერორისტებმა ორი დღის განმავლობაში ქვეყნის მოქალაქეებზე შვიდი თავდასხმა მოაწყვეს

მარტო 7 და 8 ოქტომბერს იერუსალიმში, თელ-ავივში პეტახ-ტიკვეში, აფულეში, კირიატ-გატში და კირიტ-არბის მახლობლად შვიდი ტერორისტული აქტი განახორციელეს ცივი იარაღის გამოყენებით, რის შედეგადაც დაზარალდა 12 კაცი. 3 შემთხვევაში ებრაელებზე განახორციელეს არაბებმა ისრაელის „ლურჯი“ პასპორტებით. თავდამსხმელთა ასაკი 17-დან 25 წლამდეა.

სახელმწიფო დეპარტამენტში გააკრიტიკეს მოსკოვისა და ტოკიოს კონტაქტები: ახლა არ არის დრო, ვანარმოებდეთ მოლაპარაკებას რუსეთთან

„ჩვენ ძველებურად მიგვაჩნია, რომ, თუ ზოგადად ვილაპარაკებთ, ახლა არაა იმის დრო; გვქონდეს საქმე რუსეთთან, როგორც ჩვეულებრივად, უკრაინის გამო“, – თქვა ჯონ კირბიმ. სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლის სიტყვებით უკრაინა კვლავ რჩება ამერიკის ხელისუფლების ყურადღების ცენტრში მიუხედავად იმისა, რომ სირია ამჟამად ლიდერობს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების სათაურებში.

რომის მერი საბიუჯეტო თანხების გაფლანგვის ბრალდების გამო გადადგა

რომის მერი ინიაციო მარინო საბიუჯეტო თანხების გაფლანგვის ბრალდების გამო გადადგა. ამის შესახებ „ბიბისი“ იტყობინება. მერის განცხადებაში ნათქვამია, რომ მან აღნიშნული გადაწყვეტილება „ქალაქის ინტერესების გამო„ მიიღო. ბრალდების თანახმად, ინიაციო მარინო მუნიციპალიტეტის კუთვნილ

თანხებს პირადი მიზნებისთვის იყენებდა.

რომის მერს ბრალდება ოპოზიციურმა პარტიებმა წაუყენეს, რის შემდეგაც 6 ოქტომბერს, მათი განცხადების საფუძველზე, იტალიის პროკურატურამ შემოწმება დაიწყო. მერის გადადგომის მოთხოვნით რომში საპროტესტო აქცია ივნისშიც გაიმართა. ინიაციო მარინო თანამდებობას 2013 წლის ივნისიდან იკავებდა, მანამდე კი სენატორი იყო.

საყვარელი „პიპია“

გერმანელ შოინაჰთა ოჯახი საყიდლებზე... 6-ტონიანი ტანკით დადის და დიდადაც კმაყოფილია თავისი სატრანსპორტო საშუალებით.

ამასთან, ოჯახის უფროსი იოჰამი აღიარებს, რომ „პრობლემაა გაჩერების ადგილის გამოძებნა. სამაგიეროდ ნებისმიერ გზაჯვარედინზე ტანკს მოძრაობის ყველა მონაწილე ერიდება, რაც ძალიან სასიამოვნო გრძნობას ბადებს“.

მიმზიდველობის არომატი

სასიამოვნო სურნელება ქალს გაცილებით მიმზიდველს ხდის, — ეს დასკვნა ბრიტანელმა მკვლევარებმა კვლევის შედეგად გამოიტანეს.

მოხალისეებს ქალთა ფოტოსურათებზე დაკვირვება სთხოვეს, რა დროსაც ოთახში სასიამოვნო სურნელება იფრქვეოდა. როცა ოთახში ვარდის ზეთის სუნი იყო, თითქმის ყველა ქალი ლამაზად მიიჩნიეს, ხოლო როცა ოთახში თევზის ქონი მოასხეს, უკლებლივ ყველა მათგანი მოხალისეებს ულამაზო მოეჩვენა.

ექსპერიმენტით კიდევ ერთხელ დადასტურდა ის, რაც ქალებმა აგერ უკვე მერამდენე ათასწლეული მშვენივრად იციან: კარგი სუნამო მიმზიდველობას აძლიერებს.

როცა გახდომას გადაწყვეტთ...

აღმოჩნდა, რომ მამაკაცები ქალებზე უფრო სწრაფად იკლებენ წონაში. ამის მიზეზი ისაა, რომ მამაკაცებს ქალებზე მეტი კუნთოვანი მასა აქვთ, რომელსაც ენერგიის ხარჯვა მშვიდ მდგომარეობაში ყოფნის დროსაც შეუძლია.

ამასთან, საგულისხმოა, რომ უფრო სწრაფად მამაკაცები წონაში იკლებენ გახდომის მხოლოდ პირველ ეტაპზე, თუმცა კი მომდევნო ფაზებში წონის კლება მამაკაცებში ამ პროცესის ქალებში მიმდინარეობის ტემპს უთანაბრდება.

სიმსუქნის სიკეთე

ერთობ პარადოქსული განცხადება გააკეთეს ახლახან ბრიტანელმა სპეციალისტმა დიეტოლოგებმა.

დაკვირვებათა შედეგად, მათ გამოიტანეს დასკვნა, რომ ჭარბი წონის მქონე ადამიანებში ხანდაზმულობის გონებასისუსტის საფრთხე 18 პროცენტით ნაკლებია, ვიდრე მათ ტანწერწერა თანატოლებში.

ამ მოულოდნელ დასკვნას მეცნიერები იმით ხსნიან, რომ მსუქანი ადამიანები, პრაქტიკულად, არ განიცდიან D და E ვიტამინების დეფიციტს, რომელთა ნაკლებობას შეუძლია გონებასისუსტის გამოწვევა.

ისტერიკა - სნეულების ნიშანია?

როცა პატარას გამუდმებით ისტერიკა ემართება, აგრესიულია ადამიანებისა და ცხოველების მიმართ, ამტვრევს თავის თუ სხვის სათამაშოებს — ყველაფერი ეს, შესაძლოა, ყოფაქცევის აშლილობის, საბავშვო ფსიქიატრიული პრობლემის ნიშნები იყოს, მიაჩნიათ სენტ-ლუისში ვაშინგტონის სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლის მკვლევარებს.

ამ ნიშანთა არსებობა, ტყუილებისადმი და ქურდობისადმი მიდრეკილება, იმის ალბათობას ზრდის, რომ ყოფაქცევის აშლილობა დაწყებით სკოლაშიც გაგრძელდება. ხშირად სათამაშოებს ამტვრევენ და ზოგჯერ იტყუებიან ჯანმრთელი სკოლამდელი ასაკის ბავშვებიც.

ამ გარემოების კომენტირებისას, ბავშვთა ფსიქიატრი, პროფესორი **იური შევჩენკო** აცხადებს, რომ რაც უფრო პატარაა ბავშვი, მით უფრო მეტია მის ყოფაქცევაში ინსტიქტური მექანიზმი.

— იპარავს, იტყუება, აგრესიას ავლენს ყველა ცხოველი, — ამბობს ბატონი შევჩენკო. — ამიტომ საფრთხილოა არა არასასურველი ყოფაქცევა, არამედ მისი მუდმივობა ასევე ვითარების ჩარჩოებს მიღმა გასვლა, რომელშიც ის თავდაპირველად წარმოიშვა.

მექრთამეობის უძლეველი სარეველა

ბოლო ერთი წლის მანძილზე რუსეთში ქრთამის საშუალო ოდენობა სამჯერ — 218 ათასი რუბლიდან 614 ათას რუბლამდე გაიზარდა, განაცხადეს ადამიანთა უფლებების დამცველ რუსეთის ადვოკატთა ასოციაციაში.

— კერძოდ, თუ რამდენად გაიზარდა ქრთამები, ეს საკამათო საკითხია, ყველაფერი დათვლის სისტემაზეა დამოკიდებული, — აღნიშნავს სახელმწიფო სათათბიროს უსაფრთხოებისა და ანტიკორუფციული მოღვაწეობის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **დიმიტრი გოროვცოვი.** — თუმცა კი ზრდა ეჭვგარეშეა, რასაც შს საქმეთა და გენერალური პროკურატურის ოფიციალური სტატისტიკაც მოწმობს. თანაც, როგორც ჩანს, კრიზისის გამო არანაირი „შეღავათი“ არ არის, რადგან კორუფციონერებს თავიანთი სავალუტო შემოსავლის დონის შენარჩუნება სურთ. იმის გამო, რომ დოლარის მიმართ რუბლის კურსი ქვევით იწევს, ეროვნული ვალუტით აღებული ქრთამების თამასა აიწევს. თავად ქრთამების რიცხოვნობის ზრდა სამართალდამცველ ორგანოთა მუშაობის პროფილაქტიკური შედეგის არქონას უკავშირდება. წლების მანძილზე, მექრთამეობასთან დაკავშირებით ასობით და ათასობით სისხლის სამართლის საქმე აღიძვრება, სასამართლო გამამტყუნებელი განაჩენი კი ერთეულ შემთხვევებში დგება! თანაც, ყველაზე საგანგაშო ისაა, რომ ესეც... მექრთამეობის შედეგია: დიდი საქმის დახურვა, სულ მცირე, 2,5 მილიონი დოლარი ღირს!

დარიჩინი და თხილი... კიბოს წინააღმდეგ

შენაერთს, რომელიც დარიჩინს სპეციფიკურ არომატსა და გემოს აძლევს, მსხვილი და სწორი ნაწლავების კიბოს გამკლავება შეუძლია, ამტკიცებენ არიზონის (აშშ) უნივერსიტეტის მეცნიერები.

მათ დარიჩინის ალდეჰიდი ვირთაგვების რაციონში შეიტანეს, რის შედეგად მღრღნელების უჯრედებმა, რომლებიც კონცეროგენების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდნენ, შეძლეს მომწამლავი ნივთიერებების ნეიტრალიზება და აღდგენა.

ამჟამად მკვლევარები იმის გამოკვლევას ცდილობენ, კიბოს განვითარებას თავად დარიჩინი უშლის ხელს თუ მხოლოდ მისი კონკრეტული კომპონენტები.

წინა გამოკვლევებით კი დადგინდა, რომ კოლორექტალური კიბოს განვითარების რისკს ამცირებენ ნუშის, ნიგვზის, თხილის, ფსტის, კეშიუს, პეკანისა და კედარის კაკლები. მათ, ვინც ამ კაკლებს კვირაში ორჯერ და მეტად ჭამდა, სწორი და მსხვილი ნაწლავის კიბოს რისკი 13 პროცენტით ნაკლები აღმოაჩნდათ იმათთან შედარებით, ვინც კაკლებს უფრო იშვიათად მიირთმევდა.

ერთგულების საზღვარი

ამერიკელ მკვლევარ სოციოლოგთა გამოკვლევის შედეგებს თუ დავუჯერებთ, ქმარზე ეკონომიკური დამოკიდებულება ქალის ღალატის ალბათობას რამდენჯერმე ზრდის.

კვლევის მთავარი თემა საოჯახო შემოსავლის ცოლქმრულ ერთგულებაზე ზეგავლენის შესწავლა იყო. ამერიკის შეერთებულ შტატებში ახლა ბევრი რამ კეთდება ფემინიზმის გასამართლებლად, რასაც, სქესობრივ უმცირესობათა არნახული პროპაგანდის და საკონმდებლო დონეზე „მოფერების“ პირობებში, ტრადიციული ოჯახის ინსტიტუტისთვის უდიდესი საფრხე მოაქვს.

არადა მართლმადიდებელი აღმსარებლობის ქვეყნებში სტეატიკური სურათი, ამერიკულისგან სრულიად განსხვავებულია ყველა კრიტერიუმით — იქნება ეს ვენერიული სნეულებები, აბორტები თუ განქორწინებები. ამ მხრივ დიასახლისები, ემანსიპირებულ ქალებთან შედარებით, შეუდარებლად უფრო დადებითები არიან.

„ულმობელი“ ინგლისი

კიბოთი დაავადებულთათვის ყველაზე არახელსაყრელი ქვეყანა დასავლეთ ევროპაში ინგლისი ყოფილა.

ბრიტანელმა ექიმებმა დაადგინეს, რომ „კიბოს“ დიაგნოზის დასმის შემდეგ მათ ქვეყანაში პაციენტები, სხვა ქვეყნების მცხოვრებთა ანალოგიურ დიაგნოზიან ავადმყოფებთან შედარებით, 12 პროცენტით ნაკლებს ცოცხლობენ.

ყველაზე დიდ ხანს კიბოიანი ავადმყოფები ავსტრალიასა და შვედეთში ცოცხლობენ.

სექს-მაშველი

საფრანგეთის სასამართლომ უდანაშაულოდ სცნო საერთაშორისო სავალუტო ფონდის ყოფილი პრეზიდენტი დომინიკ სტროს-კანი, რომელიც ბრალდებული იყო ქალაქ ლილის სასტუმრო „კალტონიდან“ ელიტურ სექს-წვეულებებზე მეძავთა მიყვანის დანაშაულებრივი ქსელის შექმნაში.

სასამართლო პროცესზე სიტყვის წარმოთქმისას სსფ-ს ექს-პრეზიდენტმა „მომაკვდინებელი“ არგუმენტი მოიყვანა: ამ სექსუალურ ღრეობებში იმიტომ მონაწილეობდა, რომ... ფინანსური კრიზისებიდან მსოფლიოს გადასარჩენად ძალების აღდგენა სჭირდებოდა.

ყურადღება, კონკურსი!

მეცნიერების ისტორიის საქართველოს საზოგადოება აცხადებს კონკურსს საბუნებისმეტყველო და ტექნიკის მეცნიერებათა ისტორიისადმი მიძღვნილ საუკეთესო ნაშრომზე.

საკონკურსო საბუთების შეტანის ბოლო ვადაა 2015 წლის 6 ნოემბერი, 17სთ.

კონკურსის პირობების გასარკვევად გთხოვთ, დარეკოთ: 2 36 53 17; ან 599 180 108, მისამართი: თბილისი, კოსტავას ქ. 77; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, IV კორპ. || სართული, ოთახი 218. მეცნიერების ისტორიის საქართველოს საზოგადოება.

◎ ამერ-იმერი

ზემო იმერეთის განახლებული გზით ვესტუმრებით

გომი-საჩხერე-ჭიათურა-ზესტაფონის საავტომობილო გზის 6,5 კმ-იანი მონაკვეთის რეაბილიტაცია დასასრულს უახლოვდება.

აღნიშნული გზა აღმოსავლეთ-დასავლეთის ცენტრალურ მაგისტრალზე, რიკოთის საულელტეხილო მონაკვეთის ერთადერთი ალტერნატივაა და მის გამართულ ფუნქციონირებას დიდი მნიშვნელობა აქვს ტრანსპორტის უწყვეტობის მიმოსვლის შესანარჩუნებლად. ამასთან, გზის აღნიშნული მონაკვეთი უმოკლესი მარშრუტია მიმდებარე სოფლების რაიონულ ცენტრთან დასაკავშირებლად.

გომი-საჩხერე-ჭიათურა-ზესტაფონის საავტომობილო გზის აღნიშნული მონაკვეთი 25 წელია, არ შეკეთებულა.

პროექტის ფარგლებში ჩატარდა: გზის საფარისა და არსებული ხიდის სავალი ნაწილის რეაბილიტაცია; საზოგადოებრივი ტრანსპორტის გასაჩერებელი მოედნებისა და პავილიონების, ხელოვნური ნაგებობების, ადგილობრივ გზებთან მიერთებების რეაბილიტაცია-მშენებლობა; გზის ჰორიზონტალური მონიშვნა; მოეწყო საგზაო ნიშნები და მოსახლეობის ეზოებში შესასვლელები. პროექტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდა და მისი ღირებულება 5 მილიონ 75 ათას ლარს შეადგენს.

ვახუშტი ბაგრატიონის ქუჩაზე საგზაო სამუშაოები დასრულდა

პროექტის ფარგლებში არსებულ გზის მონაკვეთზე დაიგო ახალი ასფალტის საფარი, მოეწყო ბორდიურები და ტროტუარები. მოასფალტების სამუშაოები ქუჩაზე არსებულ რამდენიმე ე. წ. „იტალიურ ეზოშიც“ შესრულდა, საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება დასრულდა ასევე დიღმის მასივის მე-3, მე-4 და მე-5 კვარტლებში.

ვახუშტი ბაგრატიონის ქუჩაზე, საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებამდე, რეაბილიტაცია ჩაუტარდა წყალსადენის ამორტიზებულ და მოძველებულ ქსელებს.

შეცვლილ ქსელებზე კი მოეწყო ახალი საკვანძო ჭები და დამონტაჟდა ახალი ჩამკეტ-მარეგულირებელი ურდულები.

მიწისქვეშა კომუნიკაციების შეცვლისა და გზის საფარის რეაბილიტაციის სამუშაოები დიდუბის რაიონის გამგეობამ კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერთან“ ერთობლივად განახორციელა.

◎ ფეხბურთი

ჯაბა კანკავა: თამაშის ხარისხი

ცოტა უკეთესი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მთავარი სამი ქულაა

საქართველოს საფეხბურთო ნაკრების კაპიტანი ჯაბა კანკავა გიბრალტართან გამარჯვების (4:0) შემდეგ ჟურნალისტებს შეხვდა და მცირე ინტერვიუ მისცა.

— მიმდინარე წელს ბოლო ოფიციალური მატჩი იყო შინ. შესაძლოა, თამაშის ხარისხი ცოტა უკეთესი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მთავარია, რომ მოვიგეთ და სამი ქულა მოვიპოვეთ.

— რა განწყობით ხვდებით გერმანიასთან ხვალინდელ მატჩს?

— გერმანია სულ სხვა დონის ნაკრებია. ყველაფერს გავიღებთ, ვიბრძოლებთ და ვეცდებით, რომ სასურველ შედეგს მივაღწიოთ.

— როგორ შეეწყვე „რეიმსს“? ხომ არ გაგჭირვებია ადაპტაცია და რამდენად პრობლემატურია ფრანგული ენის არცოდნა?

— „რეიმსს“ ნელ-ნელა ვეგუები და ყველაფერი კარგად იქნება. ადაპტაცია არ გამჭირვებია, ხოლო ენის არცოდნა დიდ პრობლემას არ მიქმნის.

— რაზე ისაუბრეთ ლევან კობიაშვილთან?

— არაფერ განსაკუთრებულზე. ახალი პრეზიდენტია, მოვიდა ვარჯიშის შემდეგ და ყველას გველაპარაკა, თუმცა, რაიმე სერიოზულზე არ გვისაუბრია.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ეროვნული ნაკრები ხვალ გერმანიას ლაიფციგში დაუპირისპირდება, ხოლო სტუმრებს გოლები ვაწაძემ (2), ოქრიაშვილმა (პენალტით) და ყაზაიშვილმა გაუტანეს.

ირლანდია — გერმანია 1:0, შოტლანდია — პოლონეთი 2:2.

გერმანია — 19, პოლონეთი, ირლანდია — 18-18, შოტლანდია — 12, საქართველო — 9, გიბრალტარი — 0 ქულა.

გიორგი ზოთაძე

◎ კალათბურთი

ვითას იმედისმომცემი მატჩი

„ვთბ-ლიგის“ რეგულარული პირველობის მატჩის ჩასატარებლად თბილისს ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო საკალათბურთო კლუბი ცსკა ეწვია. „ვითა“ ჯერჯერობით კვლავ ჩამოყალიბების სტადიაზეა, ამიტომაც პაველ გოოგეს შეგირდებისგან, ცხადია, მოგებას არავინ ითხოვდა, თუმცა, მაყურებელმა სპორტის სასახლეს ორივე გუნდის მხრიდან კარგი კალათბურთის ჩვენების იმედით მიაშურა და ქომაგთა მოლოდინი დიდწილად გამართლდა კიდეც. მოსკოველები თავიდანვე 13:0 დაწინაურდნენ. სასტარტო წუთებზე არადამაჯერებელი თამაშის შემდეგ ვითელებმა მდგომარეობა გამოასწორეს, მეორე მეოთხედის დასაწყისში 9 ქულიანი გაქცევაც კი მოაწყვეს და ანგარიში 21:26 გახადეს. საბოლოოდ ნანდო დე კოლოს, ვიტალი ფრიძონის, ანდრეი ვორონცევიჩისა და მათი პარტნიორების მაღალმა კლასმა და დიდმა გამოცდილებამ თავისი გაიტანა და ცსკამ „ვთბ-ლიგაზე“ პირველი გამარჯვება მოიპოვა — 93:60. „ვითას“ რაც შეეხება, ახლადჩამოყალიბებული გუნდის კვალობაზე თბილისელები ურიგოდ არ გამოიყურებოდნენ და წინა მატჩთან შედარებით უკეთაც ითამაშეს.

დიმიტრიოს იტუდისი (ცსკას მთავარი მწვრთნელი): თეოდოშჩის, ხრიაპასა და ჰიგინსის „ტრავმების გამო თბილისს შესუსტებული შემადგენლობით ვესტუმრეთ. ნებისმიერ მოწინააღმდეგეს პატივს ვცემთ, ამიტომაც „ვითასთან“ სათამაშოდ მთელი სერიოზულობით მოვემზადეთ. „ვთბ-ლიგის“ ჩვენთვის სასტარტო მატჩში ყველა მოთამაშე თანაბრად დავტვირთე. „ვითამ“ დროდადრო პრობლემები შეგვიქმნა, მათი დაძლევა მოვახერხეთ და ეს გამოცდილება სეზონის მომდევნო შეხვედრებში დაგვეხმარება. თბილისში პირველად ვარ. ქართველებს რაც შეეხება, მანუჩარ მარკოიშვილი წინა სეზონში ჩვენი გუნდის წევრი იყო და ასეთ კარგ ადამიანთან და მაღალი კლასის კალათბურთელთან ურთიერთობა და მუშაობა ჩემთვის სასიამოვნოცაა და პატივიც. თავის დროზე გიორგი შერმადინი ჟელკო ობრადოვიჩმა ჩემი რეკომენდაციით აიყვანა. „ვითას“ რაც შეეხება, სიმპათიური გუნდის შთაბეჭდილება დატოვა და მას სამომავლო წარმატებებს ვუსურვებ“.

პაველ გოოგე („ვითას“ მთავარი მწვრთნელი): „წინა მატჩი 43 ქულით წავაგეთ, დღეს — 33 პუნქტით. ასე რომ, პროგრესი სახეზეა. ეს რასაკვირველია ხუმრობით. ცსკასთან დაპირისპირებისას დაცვას 25, შეტევას 30 პროცენტით ვაკონტროლებდით. თუკი ამ მაჩვენებლებს 50 პროცენტამდე ავიყვანთ, საბოლოოდ პლუს 10 ქულა გვექნება. ჩვენი მიზანი ფარქვეშ კარგად თამაში იყო, რასაც გარკვეულწილად მივაღწიეთ კიდეც. ბიჭები დროდადრო შოუს ელემენტების ჩვენებასაც ახერხებდნენ და ამით მაყურებელს გამოაცოცხლებდნენ ხოლმე. ჩვენი გუნდის ქართველი წევრებიდან მიშა ბერიშვილი და მერაბ ბოქოლიშვილი მსურს გამოვარჩიო. ქართველთა დიდ საკალათბურთო ტრადიციას ვეცი პატივი, სტაჟიან გულშემატკივარს კარგად ახსოვს თბილისის „დინამოს“ და მოსკოვის ცსკას პრინციპული დაპირისპირებები, ამიტომაც სასტარტო ხუთეული ქართველი კალათბურთელებით დავაკომპლექტე. მინდოდა პირველი ქულები სწორედ ქართველ მოთამაშეს აეღო. ცსკასთან მატჩი მომდევნო ასპარეზობებისთვის უკეთ მოსამზადებლადაც გამოვიყენეთ. ვფიქრობ 3 კვირაში გუნდი მეტნაკლებად ოპტიმალურ კონდიციებს იკრებს“.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ღირსეულნი

მორაგბეთა ნაკრები საქართველოში დაბრუნდა

გუშინ სამშობლოში დაბრუნდა საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრები, რომელმაც ინგლისში მიმდინარე მსოფლიოს თასზე 2 გამარჯვება მოიპოვა და 2019 წელს იაპონიაში გასამართი მსოფლიოს თასის საგზური თითქმის გაინაღდა.

„ბორჯღალოსნებს“ თბილისის საერთაშორისო აეროპორტში გულშემატკივრებთან ერთად დახვდნენ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილეები აკაკი ლოდია, შალვა გოგოლაძე და რევაზ ჯაველიძე.

მილტონ ჰეიგის გუნდმა ტონგა 17:10 დაამარცხა, არგენტინასთან 9:54 წააგო, ახალ ზელანდიასთან 10:43 დამარცხდა, გადამწყვეტი შეხვედრა კი ნამიბიასთან მოეწყო და 17:16 გაიმარჯვა. საქართველოს ნაკრების რამდენიმე მორაგბე (მამუკა გორგოძე, დავით ზირაქაშვილი, გიორგი ნემსაძე, ლევან დათუნაშვილი, ვიქტორ კოლელიშვილი, ლაშა მალაღურაძე, მერაბ კვირიკაშვილი, ანტონ ფეიქრიშვილი, კოტე მიქაუტაძე) პირდაპირ საფრანგეთში გაფრინდა და საკუთარ კლუბებს დაუბრუნდა.

ინგლისში მსოფლიოს თასის დასრულებამდე დარჩება რაგბის კავშირის პრეზიდენტი გიორგი ნიჟარაძე, რომელიც საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელობასთან და სხვა ქვეყნების რაგბის კავშირის პრეზიდენტებთან საქმიან შეხვედრებს გამართავს.

კობა კობახიძე

◎ ჭადრაკი

ძაგნიძის მორიგი მარცხი

2 ყაიმი და 3 წაგება — ასეთი შედეგი აქვს საქართველოს ქალთა ნაკრების ლიდერ ნანა ძაგნიძეს (2573), რომელიც მონაკოს გრან-პრიზე ასპარეზობს. გასაკვირი არაა, რომ ერთადერთი ქულის მქონე ქართველი მოჭადრაკე ტურნირის აუტსაიდერთა შორის იმყოფება.

მე-5 ტურში ძაგნიძე შავი ფიგურებით ინდოელ ჰამპი კონერუს (2578) დაუპირისპირდა და მარცხი განიცადა, მომდევნო პარტიაში კი თეთრებით რუს ნატალია პოგონინას (2445) ეთამაშება.

გრან-პრის ერთპიროვნული ლიდერი მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი მარია მუზიჩუკია (2528). უკრაინელმა ოჯახურ დაპირისპირებაში ანა მუზიჩუკთან (2549) ყაიმი გააფორმა და თავი 4 ქულას მოუყარა.

3.5 ქულა აქვთ აქტივში იიფან ჰოუს (ჩინეთი, 2671), ხსენებულ კონერუს და შვედ პია კრამლინგს (2513).

მანუჩარ გიორგაძე

◎ ჩოგბურთი

ჯოკოვიჩი მეოთხედფინალშია

ჩინეთში მიმდინარე Chinaopen-ის მერვედფინალში მსოფლიოს ნომერ პირველმა ჩოგბურთელმა ნოვაკ ჯოკოვიჩმა ჩუანი 6:2, 6:1 გაანადგურა. „ნოლემ“ მეტოქე 4-ჯერ დააბრეიკა. შეხვედრა 66 წუთს გაგრძელდა.

მეოთხედფინალში ჯოკოვიჩი ამერიკელ ჯონ იზნერს დაუპირისპირდება.

Chinaopen-ის საპრიზო ფონდი 2.5 მილიონ ამერიკული დოლარია.

გადრი იაშვილი

◎ მკლავჭიდი

ეს ნადავლია საქართველოსი!

მსოფლიო 37-ე ჩემპიონატზე ქართველმა მკლავჭიდელებმა 41 მედალი მოიპოვეს!

ფორუმს მალაიზიის დედაქალაქმა კუალა ლუმპურმა უმასპინძლა. შეჯიბრებები სასტუმრო „ბერჯაია ტაიმს სქუეარში“ ჩატარდა.

ქართველი სპორტსმენები 18 და 21-წლამდელებში, ვეტერანებში და უფროსთა შორის ასპარეზობდნენ. საერთო ჯამში მათ 41 მედალი მოიპოვეს, მათ შორის — 13 ოქროსი!

ეროვნულმა გუნდმა 4 ოქროს, 6 ვერცხლის და 3 ბრინჯაოს მედალი მოიგო; 21-წლამდელების აქტივში 5 ოქრო, 6 ვერცხლი და 2 ბრინჯაოა, ხოლო 18-წლამდელთა მონაგარი ოქროს 4 და ვერცხლის 9 მედალია. ვეტერანთა ანგარიშზე ერთი „ვერცხლია“.

შეგახსენებთ, რომ 1-7 ივნისს ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ეროვნულმა, 21 და 18-წლამდელთა ნაკრებებმა 33 მედალი მოიგეს: 8 „ოქრო“, 16 „ვერცხლი“ და 9 „ბრინჯაო“.

გეჟან დოლიძე



◎ სამკურნალო მცენარეები

ადამიანი უხსოვარი დროიდან აქცევდა ყურადღებას სასარგებლო მცენარეთა გამოძებნა-შერჩევას, იყენებდა მათ სამკურნალოდ. სანამ უბრალო მცენარე უებარ სამკურნალო საშუალებად გადაიქცეოდა, ამას დაკვირვებაში გატარებული ასობით და უფრო მეტი წლები სჭირდებოდა. ამის მიზეზია, რომ სამკურნალო საშუალებათა თითქმის მესამედი მცენარეული წარმოშობისაა, თუმცა წარსულთან შედარებით დღეს სამკურნალოდ ნაკლები მცენარე იხმარება, რაც სინთეტიკური პრეპარატების სიუხვითაა გამოწვეული. ჩვენს ირგვლივ უამრავი მცენარე ხარობს, რომელთაც ჩვენი წინაპრები სამკურნალოდ იყენებდნენ. საქართველოს ეროვნულ ბოტანიკურ ბაღში ხუთასამდე სხვადასხვა ჯიშის სამკურნალო მცენარე ხარობს, აქედან ოცდაათამდე ის მცენარეა, რომლებსაც ლეგენდარული კოლხი, მედიცინის ფუძემდებელი, მკურნალთა ქალღმერთი მედეა იყენებდა და რომლებიც მამიდამისის, გრძნეული ჰეკატეს ბაღში იზრდებოდა. ჩვენს გაზეთში მეტად საინტერესო ინიციატივაზე ისაუბრა ბოტანიკური ბაღის თანამშრომელმა, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, ქალბატონმა როზა ბიძინაშვილმა, რომლის იდეაც იყო ეროვნული ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე ლეგენდარული მედეას ბაღის მოწყობა, სადაც ის სამკურნალო მცენარეები გაშენდებოდა, რომელსაც სხვადასხვა დაავადების სამკურნალოდ იყენებდა მედეა უხსოვარ დროს. ამგვარად ქალბატონ როზას კვლავ ვეწვიე და იგი დაბირებისამებრ მოგვითხრობს იმ მცენარეებზე, რომლებთანაც ჩვენ ყოველდღიური შეხება გვაქვს და ბევრმა არც ვიცით, თუ რა დაავადებებს კურნავენ ისინი, უფრო მეტიც ბევრი მათგანი ადამიანის განკურნებასთან ერთად უკუჩვენებებსაც იძლევა, რაც სიცოცხლისთვის ზოგჯერ საშიშიც კია.

მტერიც და მოყვარეც

ადამიანო, რატომ კვდები შენ, შენს ბაღში ხომ სალბი იზრდება?

— ქალბატონო როზა, თქვენ ნახევარ საუკუნეზე მეტია ამ საქმეს ემსახურებით. სწავლობთ, იკვლევთ სამკურნალო მცენარეებს. ამაზე ათობით წიგნიც მეტყველებს, რომლებიც თქვენ გამოეცით. იქნებ სანამ ჩვენთან არსებულ სამკურნალო მცენარეების დანიშნულებაზე ვისაუბრებდეთ, პატარა ექსკურსი გავაკეთოთ ისტორიაში, რამეთუ მკითხველს დააინტერესებს, საიდან იღებს სათავეს წამალთმცოდნეობა?

— სიამოვნებით მოგახსენებთ, რომ მცენარის სამკურნალო მნიშვნელობა კაცობრობისთვის უძველესი დროიდანაა ცნობილი. ჯერ კიდევ პირველყოფილი ადამიანი ყოველდღიური დაკვირვებით შეიცნობდა ცალკეული მცენარის მოქმედებას. რომელს შეეძლო ჭრილობის შეხორცება, ოფლის დენა, ძილის მოგვრა, ტკივილის გაყუჩება, რომელი იყო შხამიანი. ამაში მათ ცხოველებზე დაკვირვებაც ეხმარებოდა. კარგად ვიცით, ცხოველები ჯანმრთელობისთვის რომელ მცენარეს ეტანებიან და რომელს ერიდებიან. არქეოლოგებმა უძველეს სამარხებში უამრავი მცენარის ნარჩენები გამოიკვლიეს. ახლა ვიცით თუ რომელი რომელ დაავადებას მკურნალობს. ძველი ბუდისტები ამბობდნენ — თუ მიმოვიხედავთ ირგვლივ ექიმის მზერით, ვნახავთ, რომ ჩვენ ვცხოვრობთ წამლების სამყაროში. ძველ რომში არსებობდა მცენარეების, ყვავილებისა და ახალგაზრდობის ქალღმერთის — ფლორას კულტი, რომელსაც პატივს მიაგებდნენ.

— ალბათ, საუკუნეების მანძილზე მცენარეთა სამკურნალო თვისებებზე მხოლოდ ზეპირსიტყვიერი გადმოცემები არსებობდა და წამალთმცოდნეობა მხოლოდ ერთეულთა ხვედრი იყო.

— რა თქმა უნდა, ქურუმები, რომლებიც განსწავლული იყვნენ ამ საქმეში, საიდუმლოდ ინახავდნენ სხვადასხვა მცენარეთა შესაძლებლობებს. ამიტომაც უძველეს კოლხეთში ლეგენდარული აიეტის დას ჰეკატეს, გრძნეულადაც იხსენიებენ ბერძნულ მითებში, ხოლო მის ძმისწულს მედეას, რომელიც არანაკლებ დახელოვნებული იყო ამ საქმეში, მედიცინის ფუძემდებლადაც აღიარებენ. რაც შეეხება მეცნიერულად ჩამოყალიბებულ სამკურნალო მცენარეთა თვისებებს პირველი წერილობითი ძეგლები, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწია, ესაა შუმერების ქალაქ ნიპურში აღმოჩენილი ლურსმული ცხრილები, სადაც 145 სტრიქონში შუმერულ ენაზე 15 რეცეპტის ჩანაწერია. აღმოჩნდა, რომ შუმერები სამკურნალოდ იყენებდნენ ქლიავს, ლეღვს, მსხალს, ტირიფს, ფიჭვს, მდოგვს და სხვა. ჩვენს წელთაღრიცხვამდე მესამე ათასწლეულში ჩინური მედიცინის მამა შენ-ნუნი მოღვაწეობდა. ის 230 სახეობის სამკურნალო და შხამიან მცენარეს იყენებდა. ცხრაასზე მეტი სამკურნალო ბალახი და მცენარეა დასახელებული 2600 წელს ჩვენს ერამდე შექმნილ ჩინურ წიგნში. წარმოიდგინეთ, ეს არის თითქმის ხუთი ათასი წლის წინათ. ყველას მოგეხსენებათ მცენარე ჟენშენი, რომელიც სადღეისოდ მსოფლოს ყველა ფარმაკოპიაშია შეტანილი, სწორედ იმ კარაბადინშია ნახსენები თავისი სამკურნალო თვისებებით.



ალექსანდრე მაკედონელის ექიმებმა, რომლებიც მრავლად იყვნენ და თან ახლდნენ ლეგენდარულ მხედართმთავარს ბრძოლებში, ინდოეთიდან უამრავი სამკურნალო მცენარე ჩამოიტანეს. შემდგომში ევროპაში შორეული აღმოსავლეთიდან შემოჰქონდათ სხვადასხვა სანელებლები, რომლებსაც სამკურნალოდ იყენებდნენ. მათ შორის იყო ბრინჯიც, რომელსაც ევროპელები კუჭის დაავადებების სამკურნალოდ იყენებდნენ, მას დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა. ყველასათვის ცნობილია ტიბეტური, შუამდინარეთის, ეგვიპტური მედიცინა. მედიცინის ისტორიაში დიდი წვლილი მიუძღვით არაბ მეცნიერებს. პირველი აფთიაქი ჯერ კიდევ 745 წელს ბაღდადში გაიხსნა.

— ქალბატონო როზა, ქართულ, ანუ კოლხურ-იბერიულ მედიცინაზე ჩვენ დაწვრილებით ვისაუბრეთ ჩვენს წინა ინტერვიუში, როდესაც თქვენი ინიციატივა გააცანით მკითხველს ლეგენდარული მედეას ბაღის შექმნის შესახებ, მაგრამ შემდგომ საუკუნეებში, მიუხედავად უამრავი თავდასხმისა და ომისა, საქართველოში მაინც წარმატებით ვითარდებოდა მედიცინა...

— ჩვენ არაფრით ჩამოვუვარდებოდით სხვა ქვეყნებს. ქართველი კაცის განსწავლულობა მედიცინაში არა მარტო ზეპირსიტყვიერად გადაეცემოდა თაობებს, არამედ შემორჩენილი გვაქვს საოცარი სამეცნიერო ნაშრომებიც. სამედიცინო განათლებას იღებდნენ ათენის ივერთა მონასტერში, ვარძიაში, გელათში, იყალთოს აკადემიაში. ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების კედლებზე შემორჩენილია ისეთი სამკურნალო მცენარეების გამოსახულებები, როგორიცაა შმაგა, ავშანი, აბზინდა, ია, ვაზი და სხვა. ყველასათვის ცნობილია ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის **„სამკურნალო წიგნი — კარაბადინი“**. აქ მოცემულია ტიბეტური, ინდოეთიდან, ბერძნული, ებრაული, ასურული, ეგვიპტური, ევროპული, ჩინური, ინდური, ალბანური

◎ დღესასწაული

დღესასწაული ფოთის (პალიასტომის) ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის (ქუთაისის) სასწაულმოქმედი ხატისა

11 ოქტომბერს საქართველოს მართლმადიდებელი წმინდა სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს ფოთის (პალიასტომის), შემდეგში კი ქუთაისის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატად, სასწაულმოქმედ ხატად წოდებულის დღეს.

...„პალიასტომის“ ხატი მიიჩნევა ერთ-ერთ უძველეს ღვთისმშობლის ხატად. ისიც ცნობილია, რომ იგი დაბრძანებული იყო კოლხეთის უძველესი ქალაქის – ფაზისის საკათედრო ტაძარში.

ისტორია გვამცნობს, რომ დაახლოებით VIII-IX საუკუნეებში ეს საკათედრო ტაძარი ჩაძირულა და ამჟამად იქ პალიასტომის ტბაა.

საკათედრო ტაძრის ჩაძირვამდე მის წინამძღვარს მრავალგზის გამოეცხადა დედა ღვთისმშობელი. დედა ღვთისმშობელმა უბრძანა მას ხატის გელათში გადაბრძანება.

წინათ პალიასტომის ღვთისმშობლის ხატი ციხე-ქალაქ პალიასტომის საკრებულო ტაძარში იყო, საყდრის მთავარხუცესმა ხსენებული ხატის შთაგონებით ჩვენება იხილა... თურმე, მას თითქოს სიზმარში, ღვთისმშობელმა უთხრა, რომ ტაძარში შესულიყო და მისი ყოვლადწმინდა ხატი პალიასტომიდან გამოეტანა, რადგან ციხე-ქალაქს წყალში ჩაძირვა ელისო.

საგულისხმოა, რომ პალიასტომის საყდრის მთავრხუცესს სიზმრისთვის არ დაუჯერებია და არც სხვისთვის ამის თაობაზე არ გაუგებინებია... წარღვნას გადაურჩა „პალიასტომის“ ხატი – თურმე ის ჰაერში მოდიოდა, უხილავად, თავისუფლად... და, როდესაც მთავარხუცესმა სასწაული დაინახა და ცოდვების მისატევებლად მუხლებზე დაიჩოქა, ხატი უმალვე ჰაერიდან მის ხელებში მიესვენა.

ამჯერად პალიასტომის (ქუთაისის) ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმშია. ის დავით მეფის შვილიშვილს – გიორგი მეფეს ქუთაისის ციხე-ქალაქში გადაუბრძანებია. სწორედ მას შემდეგ უწოდებენ მას ქუთაისის ხატსაც.

გიული ლიპარტია

◎ ჩვენი კარაბადინი

შეჰერეზადას გაკვეთილები

მუცლის ცეკვას ევროპელები სხვადასხვანაირად აღიქვამენ: ზოგს ის სრულ უხამსობად მიაჩნია, ზოგიც მას ჭეშმარიტ ხელოვნებად მიიჩნევს და მოცეკვავის ვნებიანი და დახვეწილი მოძრაობებით ტკბობა უდიდეს სიამოვნებას ანიჭებს.

მაგრამ საქმე ისაა, რომ ბევრმა არ იცის, თუ რა დანიშნულება აქვს მუცლის ცეკვას არაბულ კულტურაში, წარმოდგენა არა აქვს მის მრავალსაუკუნოვან ისტორიასა და ყოფით დანაშაულებაზე.

ეროვნული განძეული

თქმა არ უნდა, მუცლის ცეკვა უაღრესად ეროტიკული სანახაობაა, მაგრამ ლეგენდის მიხედვით, იგი შემთხვევით გაჩნდა და არა საგანგებოდ შეიქმნა მამაკაცთა ვნებების გასაღვივებლად და სისხლის ასაჩქროლებლად. გადმოცემით, **ფუტკარი, რომელსაც ახალგაზრდა ქალის ნელსაცხებლიანმა სხეულმა გზა-კვალი აურია, ტანსაცმელში გაება. აბეზარი მწერის თავიდან მოსაშორებლად ქალიშვილმა თეძოებისა და მუცლის ენერგიული ბრუნვა დაიწყო. ამ მოძრაობათა მოხდენილობამ და ემოციურობამ კი მისი დიდგვაროვანი მეუღლე აღფრთოვანებაში მოიყვანა...**

მას შემდეგ აღმოსავლეთში მუცლის ცეკვას ეროვნული განძივით უფრთხილდებიან, მისი ხელოვნება კი თაობიდან თაობას დიდი მოფრთხილებით გადაეცემა. მაინც, რა არის ამის მიზეზი? ნუთუ მარტო სილამაზე და ესთეტური ტკბობა (თუმცა, ესეც სავსებით საკმარისი მიზეზი იქნებოდა)?

უწინ (საკმაოდ ხშირად ახლაც) აღმოსავლეთში ქალიშვილებს ადრეულად, 11-12 წლის ასაკში ათხოვებდნენ, რასაც, ბუნებრივია, ფეხმძიმობა და ბავშვის გაჩენა მოჰყვებოდა. **ბავშვის დაბადება კი აღმოსავლეთში სიცოცხლისა და ცოლ-ქმრობის არსია.** ტყუილად როდი ამბობენ არაბები, რომ „ის, ვისაც მემკვიდრეები ჰყავს, არ კვდება“. დიდი ოჯახი შრომაში, ყოველდღიურ ყოფაში დამხმარეებს ელის, მის კეთილდღეობას მრავალი მუშახელი სჭირდება. არადა, როგორია ქალისთვის ცხრა თვეს ბავშვის მუცლით ტარება და მშობიარობის ტანჯვის ატანა, როცა თავადაც ჯერ კიდევ ბავშვია?

სწორედ ამიტომაცაა, რომ **მუცლის, თეძოებისა და ზურგის კუნთებს, რომლებსაც მთავარი როლი აქვთ მშობიარობის პროცესში, აღმოსავლეთში გოგონებს მცირე ასაკიდანვე უვითარებენ და უმაგრებენ. მათ განსაკუთრებული ვარჯიშებით ამუშავებენ, რომლებიც მუცლის ცეკვის საფუძველს წარმოადგენენ.** ცეკვით ქალიშვილები დედებისგან სწავლობენ საკუთარი კუნთებისა და სხეულის ფლობასა და მართვას. ამის შედეგად კი უხილავი, მშობიარებისადმი მტრულად განწყობილი ძალები უკან იხევდნენ ძლიერი, ჯანმრთელი, განვითარებული კუნთების მქონე მოქნილი ქალის წინაშე, რომელიც სიყვარულისთვისაა გაჩენილი და ახალ სიცოცხლეს უვლენს ქვეყანას.

მედიკოსები აცხადებენ, რომ **მუცლის ცეკვა – მშვენიერი პროფილაქტიკაა ნაადრევი და გართულებული მშობიარობისას. ამიტომაცაა, რომ მომავალ ახალგაზრდა დედებს ისინი ურჩევენ, ყოველ დღე ნახევარი საათი, თუნდაც 15-20 წუთი იცეკვონ. ამის შედეგად მათ მცირე მენჯში სისხლის ნორმალური მიმოქცევა და კუჭ-ნაწლავის ნორმალური მუშაობა, ასევე სახის ჩინებული ფერი, მოხდენილი სიარული, მედიდური წარმოსადეგობა, ჯანმრთელი სახსრები, მოქნილი კუნთები და მაგარი მუცლის პრესი ექნებათ.**

ინფორმაცია თემაში

თეძოებზე შეგიძლიათ ხასხასა ფერის მოსახვევი შემოირტყათ, რომელიც ხაზს გაუსვამს მათ მოხაზულობას. თუკი მოსახვევი შალისა იქნება, ეს ზედმეტი ცხიმის „დადნობას“ შეუწყობს ხელს. ხელები მაღლა ასწიეთ და ტაშის შემოკვრით ან თითების ტკაცუნით საკუთარ თავს რიტმი შეურჩიეთ და ვარჯიში ისე დაიწყეთ.

1)ფეხები მხრების სიგანეზე დადგით. მარჯვენა თეძო მკვეთრად ასწიეთ ზევით, შემდეგ კი 5-8-ჯერ განზე გასწიეთ. ყურადღება მიაქციეთ, რომ მუცლის კუნთები მოდუნებული გქონდეთ.

2) მენჯი ისე ატრიალეთ, როგორც ხულა-ხუპის ბრუნვისას. მოძრაობა ორივე მხარეს 8-10-ჯერ გაიმეორეთ და, რაც მნიშვნელოვანია, ტანი უძრავად დაიჭირეთ.

3) თეძოები ნარნარად აქეთ-იქით, ქანქარასავით ამოძრავეთ, ამასთან ფეხები ხან მხრების, ხან ტერფების სიგანეზე დადგით. ამ დროს მოძრაობენ მხოლოდ თეძოები! ვარჯიში გაიმეორეთ 8-10-ჯერ.

4) ჩასუნთქვისას მუცელი გამოზნიქეთ, ვარჯიში გაიმეორეთ 8-10-ჯერ. დასასვენებლად დასაშვებია 10-15-წამიანი პაუზები.

5) ღრმად ჩაისუნთქეთ, მუცელი შესწიეთ – ამ დროს დიაფრაგმა ზევით ადის. შემდეგ ცხვირით ნელა ამოისუნთქეთ და მუცელი გამოსწიეთ – ამ დროს დიაფრაგმა ქვევით იწევს. ვარჯიში გაიმეორეთ 8-10-ჯერ. ამ დროს მუშაობს მხოლოდ მუცელი!

6) ფეხები კვლავ დადგით მხრების სიგანეზე, ან ოდნავ ახლოს. მარჯვენა ფეხი თითის წვერებზე დადგით და თეძო ასწიეთ. ტანის მთელი სიმძიმე ამ დროს მარცხენა ფეხზეა. 5-8-ჯერ მარჯვენა თეძო საათის ისრის მიმართულებით ამოძრავეთ, შემდეგ ფეხებს მდგომარეობა შეუნაცვლეთ და იგივე ვარჯიში გაიმეორეთ.

7) მენჯი ხან წინ, ხან უკან ამოძრავეთ. პირველ შემთხვევაში მუცელი შეწიეთ და კუნთები დაძაბეთ, მეორე შემთხვევაში კუნთები მოადუნეთ, ვარჯიში გაიმეორეთ 5-8-ჯერ.

ვარჯიშების ეს მარტივი კომპლექსი ყოველდღე, უმჯობესია უზმოზე, ანდა ჭამის შემდეგ საათ-ნახევარში გააკეთეთ, ხოლო თუკი სურვილი გექნებათ, დღის განმავლობაში მისი რამდენჯერმე გამეორებაც შეგიძლიათ.

მოამზადა
ოთარ ტურაბელიძემ

რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში“
მაჩაბლის ქ. №7.
293-37-87

◎ ციცხალი ანეკდოტები

– არა ხარ მართალი.
– რატომ?
– ამაზე ჯერ არ მიფიქრია.

* * *

ნატაშა თავის დაქალს მესიჯს უგზავნის: „38,5! ყველაფერი მტკივა!“.
საპასუხო მესიჯი: „შენ რა, გაგიჟდი? უფრო მოკლე ვერ ნახე?“

* * *

პლასტიკური ქირურგი დაშას სახეზე კანს უჭიმავს:
– ამის მერე ნორმალურად გაღიმებას შევძლებ?
– გათხოვილი ხართ?
– არა.
– მდიდარი ხართ?
– არა.
– აბა რა ჯანდაბა გაღიმებთ?

პარიზი, კაფე. მაგიდას სიმპათიური ქალი უზის. მას მამაკაცი მიუახლოვდა, აშკარად მექალთანე.
– ქალბატონს ეჩქარება? – კითხულობს მამაკაცი.
– ქალბატონს არ ეჩქარება.
– ქალბატონი ყავას დალევს.
– დალევს.
მოიტანეს ყავა.
– ქალბატონი გათხოვილია?
– ქალბატონი გათხოვილია.
– ქალბატონს შეუძლია, დაურეკოს თავის ქმარს და უთხრას, რომ სექსი ექნება უცნობ მამაკაცთან:?
– ქალბატონს შეუძლია, დაურეკოს თავის ქმარს და უთხრას, რომ ათჯერ ექნება სექსი უცხო მამაკაცთან?
– ათჯერ?!
– ბატონს ეჩქარება?

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოში“
გრ. რობაქიძის №7

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
293-37-87;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე